# აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№138 (25.018) შაბათი, 17 - 19 დეკემბერი, 2022 წ. 50 თეთრი


### გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 15-20, მაღალ მთაში - 7-12 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 14 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი.

ხვალ მოსალოდნელია უნალექო ამინდი, მომდევნო 2 დღეს - წვიმა.

## კრიალოსანი N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრი სამუშაო ვიზიტით რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გაემგზავრა. მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში, ირაკლი ღარიბაშვილი ხელს მოაწერს შეთანხმებას „აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოს, რუმინეთისა და უნგრეთის მთავრობებს შორის მწვანე ენერგიის განვითარებისა და გადაცემის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის თაობაზე“. ხელმოწერის ცერემონიას ასევე დაესწრებიან ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი და რუმინეთის პრეზიდენტი კლაუს ვერნერ იოჰანისი.

* * *

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორ კარიმ ხანის განცხადებით, აგვისტოს ომის საქმეზე გამოძიების ეტაპი დასრულდა, თუმცა კვლავ მიმდინარეობს სამუშაოები ეჭვმიტანილი პირების: მიხაილ მინძაევის, გამლეტ გუჩმაზოვისა და დავიდ სანაკოევის სასამართლოში წარსადგენად. როგორც კარიმ ხანი განმარტავს, კვლავაც აუცილებელი იქნება მისი ოფისისა და პარტნიორების ერთობლივი ძალისხმევა, რათა მოხდეს ჯერ კიდევ თავისუფალი ეჭვმიტანილების ადგილსამყოფელის დადგენა და მათი დაკავება.

* * *

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე იუსტიციის მინისტრს მოუსმინეს. რატი ბრეგაძე საკანონმდებლო ორგანოში „მინისტრის საათის“ ფორმატში მივიდა. იგი დეპუტატების წინაშე წარსდგა გაწეული საქმიანობის ანგარიშით, ისაუბრა გეგმებზე, რის შემდეგაც დეპუტატების კითხვებს უპასუხა. ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა პლენარულ სხდომათა დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვეს. მანამდე მათ პარლამენტში სააკაშვილის მხარდამჭერი ბანერები მიიტანეს.

* * *

ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ იუსტიციის მინისტრის, პენიტენციური სამსახურის უფროსის და პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის თანამშრომლის წინააღმდეგ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში სარჩელი შეიტანა. ის ითხოვს, უფლებამოსილება შეუჩერდეს სამივე მათგანს, „რადგან არ არის გამორიცხული, მათ მიხეილ სააკაშვილის მოწამვლის ფაქტში მონაწილეობა ჰქონდეთ მიღებული“. ამასთან, ადვოკატმა საგამოძიებო სამსახურს სარჩელით მიმართა იმ პოლიტიკოსების წინააღმდეგ, ვინც ისეთ განცხადებებს აკეთებდნენ, „რომლებიც ცალსახად, სასამართლოზე ზეწოლად უნდა ჩაითვალოს“. ხაჭაპურიძე გამოძიების დაწყებას ითხოვს მსჯავრდებული პრეზიდენტის კადრების გასაჯაროების ფაქტზეც.

მოამზადა
ია შველიძემ

# აჭარის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი დამტკიცებულია

*აჭარის უმაღლესმა საბჭომ 15 დეკემბრის მორიგ პლენარულ სხდომაზე 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი დაამტკიცა. რეგიონის მთავარი ფინანსური დოკუმენტის მოცულობა 535 549 400 ლარია.*



კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი კანონმდებლებს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ წარუდგინა. მინისტრის განცხადებით, წინა საბიუჯეტო წელთან შედარებით, 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი 11%-ით გაიზარდა და პირველად, ნახევარ მილიარდ ლარს გადააჭარბა. მისივე თქმით, მომავალ წელს, გათვალისწინებულია მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ჯანდაცვისა და სოციალური, განათლების, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის პროგრამების დაფინანსების ზრდა.

სამინისტროების მიხედვით ფინანსები შემდეგნაირად გადანაწილდა: ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 133 483 600 ლარი; ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო - 33 235 000 ლარი; სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 29 531 000 ლარი; განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - 105 446 800 ლარი.

„უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დავით გაბაიძის განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტი გადასცდა ნახევარმილიარდიან ნიშნულს, საიდანაც დაახლოებით 65% კაპიტალურ პროექტებს მოხმარდება. მისი თქმით, გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტებისთვის გამოყოფილი თანხების ზრდა - 173 მილიონ ლარამდე, იზრდება განათლების სფეროს დაფინანსება, რაც არის გრძელვადიანი ინვესტიცია. გარდა ამისა, იმატებს ჯანდაცვის პროგრამების, ტურიზმის პროექტების დაფინანსება. მისივე განცხადებით, მნიშვნელოვანია, რომ წელს, ბიუჯეტირების პროცესში გათვალისწინებულია გენდერული ბიუჯეტი“, - აღნიშნულია საკანონმდებლო ორგანოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მარინე გვიანიძემ სხდომაზე ხაზი გაუსვა გენდერული ბიუჯეტის როლს რეგიონში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის, შშმ პირთათვის თანაბარი გარემოს შექმნის, ბავშვთა და ხანდაზმულთათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფის საკითხებში.

მოხსენების შემდგომ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა უპასუხა კანონმდებლების შეკითხვებს.

2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონპროექტის შესახებ დასკვნა სხდომაზე წარმოადგინა აჭარაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსმა კახაბერ კირტავამ.

კენჭისყრის შედეგად, აჭარის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი, 14 ხმით ერთის წინააღმდეგ, დამტკიცდა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი - კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“, პლენარულ სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ წარმოადგინა. მარინე გვიანიძის განმარტებით, კანონპროექტის მიღების მიზანია საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი კანონმდებლობის გაერთიანება, გამარტივება, სრულყოფა და, პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე, სხვა საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

კანონპროექტი დეპუტატებმა პირველი მოსმენით, 15 ხმით მიიღეს. პლენარულ სხდომაზე განიხილეს, ასევე, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესატანი ცვლილებები, რომლის მიღებაც ღია მმართველობის საბჭოს სამოქმედო გეგმით აღებულმა ვალდებულებებმა განაპირობა და საკანონმდებლო ორგანოს საზედამხედველო მექანიზმების გაძლიერებას, უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად.

რეგლამენტის პროექტი, რომელიც სხდომაზე საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმერ მგალობლიშვილმა წარმოადგინა, გამარტივებული წესით, ერთი მოსმენით, 14 ხმით - მიიღეს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, კანონმდებლებმა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით განცხადებები გააკეთეს. სხდომას არ ესწრებოდნენ უმაღლესი საბჭოს წევრები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“.

უმაღლესი საბჭოს საშემოდგომო სესია პლენარული სხდომით დაიხურა.

ია შველიძე

## არჩილ ჩიქოვანი: ბათუმი იქნება პირველი ქალაქი საქართველოში, რომელიც გადავა ნარჩენების დახარისხების ოთხფრაქციიან სისტემაზე

2

## რა უნდა ვიცოდეთ მიმდინარე ვირუსული ინფექციების შესახებ?

4

## მოგზაურობა ჯადოსნურ ზურმუხტქალაქში

5


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.



დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# 2023 წლის ბათუმის ბიუჯეტი დამტკიცებულია

ხატია იაშვილი 555 18 48 88

*გუშინ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა. პირველი საკითხი, რომელზეც დეპუტატებმა იმსჯელეს, 2023 წლის ბათუმის ბიუჯეტის განხილვა იყო. სხდომას ბოიკოტი გამოუცხადეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა*



ისინი დღის წესრიგით გათვალისწინებული 13 საკითხიდან, არც ერთის განხილვას არ დასწრებიან. როგორც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა რეზო ხარაზმა განაცხადა, აღნიშნულის მიზეზი ისაა, რომ „ქართულ ოცნება“ მიხეილ სააკაშვილს კლავს.

- დღეს ამ ქვეყანაში „ქართული ოცნება“ დემოკრატიას ასამარებს, გვიზღუდავს ევროპულ გზას, უფრო მეტიც, კლავს საქართველოს მესამე პრეზიდენტს. საკრებულოსა და უმაღლეს საბჭოში „ქართული ოცნების“ წევრებთან ჯდომა ნიშნავს გარიგებას ბიძინა ივანიშვილთან. ჩამომპალი სისტემა, რომელიც ივანიშვილმა შექმნა, ჩვენს ევროპულ მომავალს ანგრევს და უნდა დაინგრეს. ამიტომ ერთადერთი გზა ევროპული მომავლისკენ გადის თავისუფლებასა და თითოეული ჩვენგანის ხმის ამოღებაზე. ჩვენ არ ვაპირებთ აქ ჯდომას და „ქართულ ოცნებასთან“ ყოფნას ერთი მიზეზის გამო - ისინი საქართველოში საქართველოს კლავენ, კლავენ საქართველოს მესამე პრეზიდენტს. ამიტომ პროტესტი ქუჩაში უნდა გაგრძელდეს. ეს ხელისუფლება მოუსავლეთში უნდა გავუშვათ, - განაცხადა რეზო ხარაზმა.

ოპოზიციის ბრალდებებს გამოეხმაურა საკრებულოს წევრი „ქართული ოცნებიდან“ თენგიზ აფხაზავა.

- ეს არის უპასუხისმგებლო, მავნებლური დამოკიდებულება ქალაქისადმი, რომელიც ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიღებას ელოდება, უპრეცედენტო 285-მილიონიან საწყის ბიუჯეტს. მიზეზია ის, რომ ვერც ერთ პროგრამაში შენიშვნა ვერ დაასახელეს. მათი დესტრუქციული ქმედება გრძელდება, უკვე მერამდენედ დგამენ ასეთ შოუს, საზოგადოება დაიღალა და არც აქცევს ყურადღებას“, - განაცხადა თენგიზ აფხაზავამ.

ბათუმის ბიუჯეტი 35-წევრიანი საკრებულოს ცხრამეტმა წევრმა დაამტკიცა. სხდომას 21 დეპუტატი ესწრებოდა, „ლელოს“ და „გახარიას“ პარტიების წევრებმა 2023 წლის ბიუჯეტს მხარი არ დაუჭირეს.

როგორც ჩვენთან საუბარში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ედნარ ნატარიძემ განაცხადა, მომავალი წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 284 მილიონ 950 ათასი ლარით განისაზღვრა, რაც სხვადასხვა მნიშვნელოვან პროექტს მოხმარდება.

- წარდგენილი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი როგორც გასულ წელს, მომავალ წელსაც ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს მოხმარდება, კერძოდ, 121 მილიონი ლარი. რაც შეეხება ეკოლოგიას, სარეკრეაციო სივრცეების მოწყობას - 26 მილიონ 30 ათას ლარზე მეტი მოხმარდება. ამით ქალაქს კიდევ არაერთი გამწვანებული სივრცე შეემატება. განათლების კუთხით 36 მილიონ ლარს დავხარჯავთ, ავაშენებთ 6 ახალ საბავშვო ბაღს, ასევე, 17 არსებულ საბავშვო ბაღს სრული კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდება. ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებისთვის არის ჯანდაცვა, სოციალური საკითხები და ამისთვის 25 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კუთხით, გასულ წელთან შედარებით, ბიუჯეტი 5 მილიონამდე ლარით გაიზარდა. პროგრამებით ისარგებლებს 55 ათასამდე ბენეფიციარი, - გვითხრა ედნარ ნატარიძემ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფის ბიუჯეტი, არსებულთან შედარებით, 427 ათას 600 ლარით გაიზარდა და შეადგინა 1 639 500 ლარი. ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია-რეაბილიტაციის ბიუჯეტი გაიზარდა 57 ათას 800 ლარით და შეადგინა 2 636 700 ლარი. ბათუმში მცხოვრებ ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ბიუჯეტი გაიზარდა 31 ათას 300 ლარით და შეადგინა 151 ათას 200 ლარი. ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარების ბიუჯეტი გაიზარდა 32 ათას 400 ლარით და შეადგინა 201 ათას 600 ლარი. შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო რეაბილიტაციის ბიუჯეტი გაიზარდა 116 ათას 800 ლარით და შეადგინა 716 ათას 800 ლარი, ხოლო ბენეფიციართა რაოდენობა გაიზარდა 200-ით. მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარებისთვის არსებული ბიუჯეტი გაიზარდა 121 ათას 200 ლარით და შეადგინა 1 მილიონ 76 ათასი ლარი. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარებისთვის ბათუმის ბიუჯეტიდან 1 მილიონი ლარი გამოიყო.

რაც შეეხება სოციალურ უზრუნველყოფას, კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირების ბიუჯეტი გაიზარდა 17 ათას 900 ლარით და შეადგინა 832 300 ლარი. მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფის ბიუჯეტი 1 მილიონ 356 ათას 700 ლარით გაიზარდა და შეადგინა 3 მილიონ 886 ათას 200 ლარი.

მუნიციპალური სასადილოების დაფინანსება ბენეფიციარების რაოდენობის ზრდის შესაბამისად იზრდება 610 ათას 900 ლარით და შეადგენს 7 მილიონ 137 ათას 600 ლარს. დროებითი ღამის თავშესაფრისთვის გათვალისწინებულია 756 ათას 500 ლარი, რაც არსებულ ბიუჯეტზე მეტია 373 ათას 800 ლარით. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურების ბიუჯეტი გაიზარდა 51 ათას 500 ლარით და შეადგინა 176 300 ლარი. პერსონალური ასისტენტების მიერ შშმ პირებისათვის სერვისის მიწოდების და პერსონალური ასისტენტით მომსახურების ბიუჯეტი 176 ათას 300 ლარია. სანიტარიული ზედამხედველობის ბიუჯეტი გაიზარდა 123 ათას 400 ლარით და შეადგინა 950 ათას 100 ლარი.

განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის კუთხით პრიორიტეტები ასე გადანაწილდა: განათლება - პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - ლუკა ასათიანისა და ტბელ-აბუსერისძის სახელობის სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისათვის;

კულტურა - ფოლკლორის, თანამედროვე მუსიკის, კლასიკური მუსიკის, ხელოვანთა ხელშეწყობა და ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ დაფინანსება;

ახალგაზრდობა - ახალგაზრდული ცენტრის მხარდაჭერა, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციასთან დაკავშირებული საინფორმაციო აქტივობები, ახალგაზრდული ბანაკების ორგანიზება, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა;

სპორტი - მასობრივი სპორტის განვითარება, ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა, სპორტული საკლუბო გუნდების, საჭადრაკო კლუბ „ნონას“ და ბათუმის საცხენოსნო კლუბის მხარდაჭერა;

მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა - ა(ა)იპ „ბათუმის სპორტული ცენტრის“ მხარდაჭერა, სასპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა.

# არჩილ ჩიქოვანი; ბათუმი იქნება პირველი ქალაქი საქართველოში, რომელიც გადავა ნარჩენების დახარისხების ოთხფრაქციიან სისტემაზე

ხატია იაშვილი 555 18 48 88

***ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი საქართველოში ადგილობრივ დონეზე გარემოსდაცვითი დემოკრატიისა და კლიმატის მართვის ხელშეწყობის შესახებ კონფერენციას დაესწრო, სადაც აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ბათუმში არსებულ შედეგებსა და გამოწვევებზე ისაუბრეს***

ასევე იმსჯელეს გარემოსდაცვით და კლიმატის მმართველობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო საკითხებზე და გაიმართა დისკუსია თემაზე: „ნარჩენების მართვა და SEAP დანერგვის ბარიერები მუნიციპალიტეტებში“.

„მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულია ნარჩენების წყაროსთან სეპარირების სისტემის დანერგვა. ამ მიზნით აქტიურად ვმუშაობთ მოსახლეობისათვის ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების სერვისის მისაწოდებლად. ამ მიმართულებით დღეისათვის მუნიციპალიტეტი საერთაშორისო პარტნიორებთან აქტიური თანამშრომლობითა და მათი მხარდაჭერით ახორციელებს საპილოტე პროექტებს. მნიშვნელოვანია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაეროს განვითარების პროგრამასა (UNDP) და ქალაქ ბათუმის მერიას შორის „სწრაფი განვითარების ლაბორატორიის“ პროექტის სახით. მოცემული პროექტის ფარგლებში, დაიწყო UNDP-ის სწრაფი განვითარების ლაბორატორიის საპილოტე პროექტის განხორციელება, რომელიც მოიცავდა როგორც მუნიციპალიტეტისათვის შესაბამისი აღჭურვილობის (ურნების) გადმოცემას, ასევე, ინტეგრირებული საკომუნიკაციო კამპანიის ჩატარებას“, - აღნიშნა ქალაქის მერმა.

მუნიციპალიტეტის მხრიდან პროექტის უშუალო განმახორციელებელს წარმოადგენდა შპს „სანდასუფთავება“, რომლის უშუალო ჩართულობით შეირჩა ურნების დიზაინი.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ლოკაციები ურნების განსათავსებლად შეირჩა მსგავსი სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. შერჩეული გამჭვირვალე ურნები განთავსდა სამ ჯგუფად მუნიციპალური ურნების გვერდით. საწყის ეტაპზე ნარჩენის გამოტანა ხორციელდებოდა ურნების მონიტორინგის გზით, ნარჩენით შევსებისთანავე, საშუალოდ 8 დღეში ერთხელ. შპს „სანდასუფთავება“ განსაზღვრავდა ამოღებული ნარჩენის მოცულობასა და ხარისხს.




პარალელურად მიმდინარეობდა საკომუნიკაციო კამპანია, რომელიც წარიმართა ორი ტიპის სატესტო გზავნილით. გზავნილების მოსახლეობაზე მიწოდებაც განხორციელდა ეტაპობრივად, სხვადასხვა სოციალური აქტივობის მეშვეობით. კამპანია დაიყო ორ ფაზად, ორ სხვადასხვა ჯგუფში. ექსპერიმენტი მიმდინარეობდა 8 კვირის განმავლობაში და მოიცვა დაახლოებით 5000 მოქალაქე.

ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ, მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მისი მუნიციპალური რესურსით გაგრძელების თაობაზე. კერძოდ, გაიზარდა ლოკაციებისა და ურნების რაოდენობა. ურნები შეძენილი იქნა მუნიციპალიტეტის ფინანსური რესურსით, ასევე მუნიციპალიტეტმა შეიძინა ნაგავმზიდი მხოლოდ სეპარირებული ნარჩენის გამოსატანად.

,,UNDP-ის ექსპერიმენტის დასრულებისა და შეფასების შედეგად მივიღეთ სანდო მონაცემები, რაზე დაყრდნობითაც, მიმდინარე წლის სექტემბერში, UNDP-ის ხელშეწყობით დაიწყო მუშაობა 2023-2027 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის განახლებისთვის. გეგმის მიხედვით, ბათუმი იქნება პირველი ქალაქი საქართველოში, რომელიც გადავა ნარჩენების დახარისხების ოთხფრაქციიან სისტემაზე.

რაც შეეხება ბათუმის ნაგავსაყრელს, რომელიც ათეულობით წლის წინ შეიქმნა, უკვე წლებია, ღია სივრცეშია და სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. მისი დახურვა ახალი ნაგავსაყრელის ექსპლუატაციაში შესვლასთან ერთად მოხდება. ახალი ნაგავსაყრელი ცეცხლაურში, ქობულეთში მდებარეობს.

გარე განათების ნაწილში ბათუმი გადავიდა LED სანათებზე. შესაბამისად, ქალაქის მასშტაბით 15000-მდე ენერგოეფექტური LED განათება მონტაჟდება. ჭკვიანი განათების სისტემა გააუმჯობესებს ღამის ხილვადობას, ფეხით, ველოსიპედითა და მანქანით უსაფრთხოდ გადაადგილებას. ენერგოეფექტურ LED განათებაზე გადასვლით ელექტროენერგიის მოხმარება დაახლოებით, 40 პროცენტით შემცირდება. ეს ნიშნავს, რომ ბათუმში განხორციელდება განათების მოდერნიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბათუმი პირველი ქალაქია სამხრეთ ამიერკავკასიაში, სადაც ელექტროავტობუსები მოძრაობს, რომლებიც ეკოლოგიურად სუფთაა და არ გამოყოფს გამონაბოლქვს“', - აღნიშნა არჩილ ჩიქოვანმა.

# „სისხლში არაფერი აღმოჩნდა და მწვავე ინტოქსიკაციაზე სპეკულაციები დასრულდა“



***ერთი წელია, არ წყდება აჟიოტაჟი ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საპატიმროში ყოფნასთან და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. პოლიტიკურად ისედაც პოლარიზებულ საზოგადოებაში ამ თემის განხილვამაც საკმაოდ მტკივნეული ხასიათი მიიღო.***

კონსენსუსისმაგვარიც კი არ ჭიატობს ურთიერთდაპირისპირებულთა შორის, რომლებიც უკიდურესად საპირისპირო მხარესაა მიმართული. ევროპარლამენტის ამასწინანდელმა რეზოლუციამაც, რომელსაც თავად ანგარიშის ავტორმა სვენ მიქსერმაც კი არ მისცა ხმა, გარკვეული ევროპარლამენტარების მიერ შეტანილი ჩასწორებების გამო, განხეთქილების, აზრთა სხვადასხვაობის კიდევ ერთ მიზეზად იქცა. ჩასწორებები მიხეილ სააკაშვილის სამკურნალოდ საზღვარგარეთ გადაყვანასა და ნიკა გვარამიას პატიმრობიდან გათავისუფლებას ეხება. ამგვარად, საქართველოს მესამე პრეზიდენტი კვლავ რჩება „მნიშვნელოვანი“ როლის შემსრულებლად ჩვენს რეალობაში.

უნდა გამოქვეყნებულიყო თუ არა მიხეილ სააკაშვილის საავადმყოფოში ყოფნის ამსახველი ბოლოდროინდელი კადრები ტელეეთერით და რა შთაბეჭდილება დატოვა ამ კადრებმა ჩვენი საზოგადოების წევრებზე, მათ შორის პოლიტიკოსებზე? - სწორედ ამ ორ კითხვაზე პასუხები გვხვდება დღეს ყველაზე ხშირად სოციალურ ქსელებში და ვისმენთ ტელეეთერით პოლიტიკოსებისგან თუ საზოგადოების წევრებისგან. სანამ უშუალოდ ჩვენი კუთხის წარმომადგენლები გაგვიზიარებენ თავიანთ აზრს, მოკლედ შემოგთავაზებთ რამდენიმე პოლიტიკური პარტიის ლიდერის მოსაზრებებს (სტილი ყველგან დაცულია).

„მათ უნდათ ქვეყანაში ვითარების არევა. ხედავენ, რომ ის კანდიდატები, რომლებიც მრავლად არიან წარმოდგენილი „ნაცმოძრაობის“ თავმჯდომარეობის პოსტზე, ამას ვერანაირად მოახერხებენ. აქედან გამომდინარე, ფიქრობენ, რომ არეულობის შემოტანის ერთადერთი რესურსი აქვს სწორედ სააკაშვილს. რაც შეეხება კადრებს, 3 სხვადასხვა შემთხვევა იყო, როდესაც იუსტიციის სამინისტრომ გამოაქვეყნა ვიდეოკადრები. თავიდან იყო ერთი ფეიკკამპანია, რომელიც უკავშირდებოდა ე.წ. წამებას - უწყებას მოუწია იმ კადრების გასაჯაროება, რომლებიც უკავშირდებოდა პატიმარ სააკაშვილის გადაყვანას ერთი საპატიმროდან მეორეში. მეორე შემთხვევა დაკავშირებული იყო შიმშილობასთან - იქაც იყო სრული ფეიკკამპანია, რომელიც უკავშირდებოდა იმას, რომ თითქოს სააკაშვილი 60 დღის განმავლობაში შიმშილობდა. ჯერ მსოფლიო რეკორდია 60 დღე შიმშილობა, წარმოუდგენელია. აქაც მოუწია იუსტიციის სამინისტროს კადრების გავრცელება, სადაც ჩანს, თუ როგორ იკვებება მოშიმშილე მიხეილ სააკაშვილი. რაც შეეხება ბოლო შემთხვევას, სასამართლოზე ვერ მოხერხდა სააკაშვილის ჩართვა, რასაც მოჰყვა სპეკულაციების ახალი ტალღა. მანამდე იყო 400-დღიანი კამპანია - 400 დღე საუბრობდნენ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები, რომ დღეს არა, ხვალ დაიღუპება სააკაშვილი. ვიღაცებს აჯერებენ, ამიტომ არის საჭირო პასუხი ასეთ კამპანიებზე“, - თქვა „იმედის“ ტელეეთერში „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა **ირაკლი კობახიძემ**.



საქართველოს პარლამენტის წევრმა ბლოკიდან „ნაცმოძრაობა - ძალა ერთობაშია“ **სალომე სამადაშვილმა** საკანონმდებლო ორგანოს პლენარულ სხდომაზე იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძის შემდეგ (რომელმაც აღნიშნა, რომ „პენიტენციურ სისტემაში თანამშრომლების მხრიდან პატიმრებზე ძალადობის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა მაშინ, როდესაც 2011 წელს არასათანადო მოპყრობა იყო სისტემური პრობლემა და ეს აღიარებული იყო ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. აღნიშნულს ასევე ადასტურებს ის გარემოება, რომ 2012 წლის შემდეგ, სტრასბურგის სასამართლოს ერთი საჩივარიც კი არ მიუღია წარმოებაში საქართველოს პენიტენციური სისტემიდან“) სააკაშვილის შესახებ განაცხადა: „შეიძლება თქვენც მიგაჩნიათ, რომ ევროკავშირის წარმომადგენლები და ევროპარლამენტი არის მოსყიდული, მაგრამ ჩვენ წავიკითხეთ ნათლად, რომ ევროკავშირი, პარლამენტი და საერთაშორისო პარტნიორები გაკისრებენ სრულ პასუხისმგებლობას მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. ციტირებენ იმ საერთაშორისო დასკვნას, რომელიც ადგენს, რომ ის არის, სავარაუდოდ, მოწამლული. მაინტერესებს თქვენ გვიპასუხოთ, ან დღემდე რატომ არ გააკეთეთ, ან რატომ არ გეგმავთ, სანდო, თქვენ მიერვე შერჩეულ საერთაშორისო ექსპერტიზას მიანდოთ, გასცეს პასუხი მარტივ შეკითხვას - არის თუ არა ის დასკვნა, რომელიც დაიდო პრეზიდენტის სხეულში აღმოჩენილ ნივთიერებასთან დაკავშირებით, რომ იქ ვერ მოხვდებოდა სხვა გზით, თუ არა მოწამვლით, არის თუ არა სიმართლე. რატომ არ იწვევთ საერთაშორისო ექსპერტიზას, თუ შეიძლება ამაზე გვიპასუხოთ. მე მიხეილ სააკაშვილი მოვინახულე. არ მიმაჩნია, არ მჯერა, არ მაქვს განცდა, რომ ამ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოსწორდება არსებულ ვითარებაში“.



ხსენებული კადრების და მათი გასაჯაროების შეფასება ვთხოვეთ „ნაცმოძრაობის“ წევრ **მირდატ ქამადაძეს**:

„სამართლებრივ ნაწილს რომ თავი დავანებოთ, ეს არის ყოვლად ამორალური საქციელი. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მიხეილ სააკაშვილის მიმართ მიმდინარეობს შურისძიება, რასაც არავითარი კავშირი არ აქვს სამართალთან. ეს იყო მცდელობა, ხელისუფლებას დაემცირებინა მიხეილ სააკაშვილი, მაგრამ სინამდვილეში ამით დაამცირეს ქვეყანა. ვინმეს მოსწონს თუ არ მოსწონს მიხეილ სააკაშვილი, ფაქტია, რომ ის ამ ქვეყნის მესამე პრეზიდენტია და როცა პრეზიდენტს ასე ექცევი საკუთარი პოლიტიკური მიზნის მოსაღწევად (ძალაუფლების შესანარჩუნებლად), ამხელა ზიზღით და სიძულვილით კვებავ საზოგადოების ნაწილს, ეს პირდაპირ ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება.



ამ კადრების ნახვის შემდეგ ერთადერთი შთაბეჭდილება დარჩებოდა ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს: ეს კადრები გათვლილი იყო რუსეთის ხელისუფლებისთვის. სხვა ახსნა არ არსებობს, რადგან მოექცე დასნეულებულ პატიმარს ასე, ამას არც ქრისტიანობა გვასწავლის, არც ქართულ ტრადიციებს შეესაბამება. ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება“.

ჩვენს შეკითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ხელისუფლება, როცა მედპერსონალსაც და ხელისუფლებასაც ბრალს სდებენ ექსპრეზიდენტისადმი არაადამიანურ მოპყრობაში, მირდატ ქამადაძემ ასე უპასუხა:

„ამ კადრების შემდეგ ჩვენ ვნახეთ მიხეილ სააკაშვილის წერილი/განცხადება, სადაც ის ცალსახად აღნიშნავს, რომ მას მედპერსონალთან პრეტენზია არ აქვს. თუ თქვენ გავრცელებული კადრებიდან მიხეილ სააკაშვილის მედპერსონალთან დამოკიდებულებას გულისხმობთ, ამაზე მოვისმინე ექიმების განმარტება, რომლებიც ამბობენ, რომ ეს სიმპტომები დამახასიათებელია იმ პაციენტებისთვის, ვინც მოწამლულია ვერცხლისწყლით ან/და დარიშხანით. საერთაშორისო თუ ჩვენი ქვეყნის პატივსაცემი ექსპერტები/ექიმები აღნიშნავენ, რომ მდგომარეობა კრიტიკულია, ვნახეთ ბატონი სერგეენკოს განცხადებაც, სადაც აღნიშნულია, რომ პაციენტ სააკაშვილის მკურნალობა არ მიმდინარეობს სწორად. გუშინ „იმედის“ ტელეეთერში ვნახეთ ინტერვიუ „ვივამედის“ დირექტორ, ქალბატონ ნინო ნადირაძესთან, რომელიც მოუწოდებს „ქართულ ოცნებას“, რომ წავიდეს დათმობაზე და გაიყვანონ საზღვარგარეთ სააკაშვილი სამკურნალოდ. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ურთულესია. ამ ყველაფრის შემდეგ, პაციენტი რომ არ გადაჰყავთ სამკურნალოდ, ეს წამებაა და სხვა არაფერი“.

აქვე გთავაზობთ **ნინო ნადირაძის** ზემოთ ხსენებული ინტერვიუდან განსაკუთრებულად საყურადღებო ამონარიდებს: „ექსპერტები აქტიურად იყვნენ ჩართულები სააკაშვილის მკურნალობის პროცესში, თუ რამე არ მოსწონდათ, რამეში არ გვეთანხმებოდნენ, ეთქვათ. თუ ყოველდღიურად პაციენტის სიცოცხლე ძაფზე ჰკიდია და ყველა საათსა და წუთს მნიშვნელობა აქვს, რას უნახავენ ამ დასკვნებს, არ უნდა გვაჩვენონ?! ჩვენ შევედით წინასწარ წაგებულ ომში იმიტომ, რომ განკურნება არის გადავადებისა და გათავისუფლების საწინააღმდეგო მხარეს. რა უნდა გავაკეთოთ, რომ ეს პროცესი გადავწონოთ?! ჩვენ ვართ მარტო ამ თვალსაზრისით და გარეთ ვინც არის, ექიმები, ექსპერტები, ადვოკატი, მომხრეები და ა.შ. მთელი ამხელა მანქანა მომართულია ჩვენკენ, რომ თქვენ ამას ვერ იზამთ... ეს ექსპერტები მხოლოდ არ ექსპერტობდნენ, ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულები, მკურნალობის პროცესშიც ღებულობენ მონაწილეობას ჩვენთან ერთად. თუ რამე არ მოსწონდათ, რამეში არ გვეთანხმებოდნენ, ეთქვათ. თუ ყოველდღიურად პაციენტის სიცოცხლე ძაფზე კიდია და ყველა საათსა და წუთს მნიშვნელობა აქვს, რას უნახავენ ამ დასკვნებს, არ უნდა გვაჩვენონ?! თუ პაციენტის სიცოცხლე ასე ყოველწამიერად არის საფრთხის ქვეშ, სასამართლოსთვის ინახავენ დასკვნებს?!



პაციენტი ჩვენთან გადმოიყვანეს შიმშილობის შემდეგ. კალორაჟის აწევა იქამდე, სადამდეც გვინოდა, არ გამოვიდა. ამასობაში დაემთხვა სასამართლო პროცესის კლინიკაში ჩატარება და ზუსტად ამის შემდეგ წამოვიდა წონაში მკვეთრი კლება... ის იკვებება მცირე რაოდენობით, შერჩევითად. რა ოპერაცია გაიკეთა, რა სჭირს, ამაზე ვერ ვსაუბრობ, რადგან არ მაქვს მათი მხრიდან წერილობითი თანხმობა. ფაქტი ერთია - იყო სულ 1 ან 2 გულისრევა-პირღებინების ეპიზოდი. სხვა შემთხვევაში, რასაც ჭამს, მცირე რაოდენობით თუ რაც მას სურს, ყველაფერს ირგებს. ის, რომ ვერ ირგებს და ამიტომ ვერ სუქდება, ეს მომენტი არ არის. ფიზიკური წინააღმდეგობა, რაც ხელს უშლის გადაყლაპვას, არ არსებობს, ხოლო იმის დიფერენცირება ან დამტკიცება, რომ არ ჭამს თუ ვერ ჭამს, ეს იმდენად სუბიექტურია, ამის დამტკიცება ძალიან რთულია. ჩვენ რაც დავთვალეთ ინდექსები, კახექსიაში არ ჯდება. მისი კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემები კახექსიის დამადასტურებელ სურათს არ იძლევა. ჩვენ ასევე გავაკეთეთ ტოქსიკოლოგიური ანალიზი, რომელიც გავაგზავნეთ გერმანიაში. სისხლში არაფერი არ აღმოჩნდა და მწვავე ინტოქსიკაციაზე სპეკულაციები დასრულდა“, - განაცხადა ნინო ნადირაძემ.

აჭარის უმაღლესი საბჭოს უმრავლესობის წევრ **ილია ვერძაძის** მოსაზრება თემასთან დაკავშირებით ასეთია:

„სამართლებრივ შეფასებას ვერ გავაკეთებ, თუმცა ვფიქრობ, რომ იუსტიციის სამინისტრო მაქსიმალურად ცდილობდა კადრების გამოქვეყნებისგან თავის შეკავებას. ამის შესახებ მინისტრმა რატი ბრეგაძემ არაერთხელ განაცხადა.

იხ. მე-7 გვ.

## უცხოეთი

ევროკავშირის ლიდერებმა ბოსნია-ჰერცეგოვინას ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭეს. „ბოსნია-ჰერცეგოვინას დღეს მიენიჭა კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. ეს არის ძლიერი სიგნალი ხალხისთვის, მაგრამ ასევე მკაფიო მოლოდინი ახალი ხელისუფლებისგან, რომ განახორციელონ რეფორმები“, - განაცხადა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა. ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები ბოსნია-ჰერცეგოვინისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე კვირის დასაწყისში შეთანხმდნენ. ამ დროისთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნებია ალბანეთი, მოლდოვა, ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკა, მონტენეგრო, სერბეთი, თურქეთი და უკრაინა.

* * *

სლოვაკეთში პარლამენტმა მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა. უნდობლობის ვოტუმს მხარი 78 პარლამენტარმა დაუჭირა, წინააღმდეგ 20 პარლამენტარი წავიდა, ხოლო ორმა თავი შეიკავა. სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრ ედუარდ ჰეგერის პარტია OL'aNO-ს დეპუტატებმა კენჭისყრის დროს დარბაზი დატოვეს. შემდეგ არჩევნებამდე ედუარდ ჰეგერის მთავრობა მოვალეობის შემსრულებლის სტატუსში იმუშავებს. სლოვაკეთის პარლამენტის სპიკერის ბორის კოლარის თქმით, ქვეყანაში ვადამდელი არჩევნები შესაძლოა 2023 წლის მაის-ივნისში ჩატარდეს.

* * *

რუსეთი გააფართოებს ურთიერთობას ყველასთან, ვინც ამით დაინტერესებულია, - ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა. „პირველი ამოცანა ეხება ჩვენს მთავარ პარტნიორებთან ურთიერთობის ახალ დონეზე გადაყვანას. ამისათვის ჩვენ მოვხსნით შეზღუდვებს ლოგისტიკასა და ფინანსებში“, - განაცხადა პუტინმა. როგორც მან აღნიშნა, რუსეთი გააგრძელებს თანამშრომლობის გაფართოებას ყველასთან, ვისაც ნათლად ესმის, სად არის სხვების ინტერესები და სად არის მათი ეროვნული ინტერესები. „რუსეთი ამყარებს სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობებს ასეთ ქვეყნებთან“, - დასძინა პუტინმა.

* * *

პოლონეთის პოლიციის მთავარ სამმართველოში უკრაინული საჩუქარი აფეთქდა, რის შედეგადაც პოლონეთის პოლიციის მთავარი კომენდანტი იაროსლავ შიმჩიკი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ინციდენტის შესახებ ოფიციალური განცხადება შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააკეთა. აფეთქების შედეგად პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობის პირველი სართულის ერთ-ერთ ოთახში ჭერი ჩამოინგრა. დაზიანებები იყო მეორე სართულზეც, სადაც შიმჩიკის კაბინეტი მდებარეობს. „აფეთქდა ერთ-ერთი საჩუქარი, რომელიც კომენდანტმა უკრაინაში სამუშაო ვიზიტის დროს მიიღო საჩუქარი უკრაინული სპეცსამსახურების ერთ-ერთი ხელმძღვანელის მიერ იყო გაკეთებული“, - განაცხადეს სამინისტროს პრესსამსახურში. არაოფიციალური ინფორმაციით, ეს საჩუქარი რეაქტიული ყუმბარმტყორცნი იყო, რომელმაც ოფიცრების მასთან თამაშის დროს მოულოდნელად გაისროლა.

მოამზადა
ია შველიძემ

# რა უნდა ვიცოდეთ მიმდინარე ვირუსული ინფექციების შესახებ?

**მარიამ ხითარიშვილი 27 48 93**

*წლის ცივი სეზონი დაიწყო და სასუნთქი სისტემის ვირუსული დაავადება გახშირდა. თავს იჩენს სეზონური გრიპი, რომელიც სხვადასხვა კატეგორიის ვირუსული ინფექციაა. ის მძიმედ მიმდინარეობს და განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს, რადგან შესაძლებელია, გართულება მოჰყვეს. ამჟამად მიმდინარე ვირუსული ინფექციების გამო ძალიან ბევრს ხველაც აწუხებს, რომელიც ხშირად ხანგრძლივდება.*

*აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მედიცინის დოქტორს, ინფექციონისტ* ***მაია ბუწაშვილს*** *მივმართეთ.*

- ხველა პაციენტებში ზოგჯერ რამდენიმე კვირამდე გრძელდება, რაც, დამეთანხმებით, ძალიან შემაწუხებელია. ამის გამო ადამიანები სხვადასხვა არასაჭირო მკურნალობას მიმართავენ და ხშირად სრულიად უსარგებლო, ზოგჯერ კი მავნე მედიკამენტებს იღებენ. პაციენტი დაჟინებით მოითხოვს „ხველის წამლის“ დანიშვნას, რომლისგანაც მორჩენას და შვებას ელოდება, რეალურად კი ასეთი ჯადოსნური წამლები არ არსებობს. „ხველის წამლების“ ნაწილის ამოცანაა, გაათხიეროს ნახველი, ადამიანმა უფრო იოლად რომ შეძლოს ნახველის ამოღება, ანუ ეს წამლები ხველას არ შველის, უბრალოდ, აადვილებს ნახველისგან გათავისუფლებას. ეს უკმაყოფილებას იწვევს - „წამალს ვსვამ და მაინც ვახველებ“. ზოგიერთ წამალს დროებითი, მოჩვენებითი ეფექტი აქვს - კი არ „არჩენს“, თრგუნავს ხველას. ალბათ, მისაყვედურებთ, რომ აპოკალიპტური სცენარი დავხატე, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეა. ამიტომ ხველას უნდა ვაცალოთ, მივიღოთ ისეთი მარტივი საშუალებები, რაც დროებით კომფორტს გვაგრძნობინებს. მაგალითად, საწუწნი აბები ან კანფეტები. ხალხური მედიცინის ფანი არ ვარ, მაგრამ თაფლის „მოწუწნასაც“ აქვს ასეთი დროებითი, ხველის დამამშვიდებელი ეფექტი. მივიღოთ თბილი სითხე. კარგია თბილი ორთქლი - მაგალითად, შხაპის მიღებისას ხველა მშვიდდება ხოლმე. მოკლედ, მაქსიმალურად შევიმსუბუქოთ დამღლელი სიმპტომები და დაველოდოთ თანდათან თავისით გაუმჯობესებას. საყურადღებო სიმპტომები, როცა შეიძლება უფრო სერიოზული



ჩარევა გახდეს საჭირო, არის მოყვითალო ან მომწვანო ნახველი, ცხელება 38 და მეტი, სუნთქვის გაძნელება, გულმკერდის არეში ტკივილი. ასეთ დროს შეიძლება აუცილებელი იყოს გულმკერდის რენტგენი და პნევმონიის შემთხვევაში - ანტიბიოტიკოთერაპია.

**- ინფექციური დაავადებების დროს ზოგჯერ მიიჩნევენ, რომ დაბანა არ შეიძლება...**

- არასწორად მიიჩნევენ. დაუბანლობა, პირიქით, ზოგჯერ ჯანმრთელობისთვის საშიში შეიძლება იყოს და სერიოზულ დისკომფორტს უქმნის როგორც პაციენტს, ისე მის გარშემომყოფებს. არაერთ პაციენტს უხერხულად მოუბოდიშებია, რომ, რადგან ავად არის, შხაპი ვერ მიიღო მოსვლამდე. მე, რა თქმა უნდა, ამ მხრივ პრობლემა არ მაქვს. ექიმი ვარ და ჩემი მოვალეობაა, ყველანაირი პაციენტი გულისხმიერად მივიღო, ჰიგიენური მდგომარეობის მიუხედავად. მთავარი ისაა, რომ შხაპის მიღება ავადმყოფობის დროს სულაც არ იკრძალება, მათ შორის არც გამონაყრით მიმდინარე დაავადებების დროს. ასეთ შემთხვევაში, უბრალოდ, ჯობია, ძალიან ცხელ წყალს მოვერიდოთ, რომ კანის კიდევ უფრო მეტად გაღიზიანება ავიცილოთ თავიდან, თუმცა ზომიერად თბილი წყლით შხაპის მიღება და კანის სისუფთავის შენარჩუნება აუცილებელია ინფექციური თუ არაინფექციური გამონაყარის შემთხვევაში. ასევე, თუ ადამიანს აქვს სასუნთქი გზების ინფექცია (გრიპი, კოვიდი და სხვ.) და ტემპერატურის მომატება, ზოგჯერ დაბანისგან თავს იკავებენ, რომ „კიდევ უფრო მეტად არ გაცივდნენ“. თუ ადამიანს სიცხე აქვს, დაბანით როგორ უნდა გაცივდეს? თუ ახველებს, ასეთ დროსაც ზოგჯერ თავს იკავებენ დაბანისგან, არადა, ხველის დროს ორთქლი აშკარად ამსუბუქებს შემაწუხებელ სიმპტომებს და ამ მხრივ პროგრესი აშკარად შეინიშნება. მე ის დროც მახსოვს, მენსტრუაციის დროს რომ ეგონათ, დაბანა არ შეიძლებოდა ან ახალნამშობიარევი ქალი კარგა ხანს რომ არ იღებდა შხაპს. საბედნიეროდ, მგონი, ამ სისულელეების დრო დასრულდა, მაგრამ ბევრი დაავადების დროს ჯერ კიდევ იკავებენ ადამიანები თავს დაბანისგან, რაც სრულიად გაუმართლებელია.

მაია ბუწაშვილი სამედიცინო ეთიკასაც შეეხო და მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა:

- ვიცი, თემატიკას აცდენილია, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სამედიცინო ეთიკა ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია ჩვენს პროფესიაში. როდესაც პაციენტისთვის ფოტოს გადაღება მჭირდება, რომ შემდეგ, მაგალითად, გამონაყარის დინამიკის შედარება შევძლო, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახე არ ჩანს, ეს ფოტო მხოლოდ ჩემთან რჩება და არსად ვრცელდება, მაინც ვთხოვ პაციენტს ნებართვას. ეს ჩემი მოგონილი მეტიჩრობა კი არა, სამედიცინო ეთიკის მკაცრი მოთხოვნაა, რომ პაციენტის ფოტომასალის გაზიარებისთვის (თუნდაც არ ჩანდეს სახე) აუცილებელია მისი თანხმობის მიღება. სახე შეიძლება არ ჩანდეს, მაგრამ შეიძლება სხვა რაიმე მაიდენტიფიცირებელი ნიშანი გამოჩნდეს ფოტოში (ხალი, ტატუ და ა.შ.), ამიტომ ეთიკის კანონი ამასაც ითვალისწინებს, მათ შორის სასწავლო მიზნით ფოტო-ვიდეომასალის საყოველთაოდ გაზიარების შემთხვევაში, თუ სახე ჩანს, ამაზე, საერთოდ, ლაპარაკიც ზედმეტია. როდესაც რაიმე კვლევას ვიწყებთ, თუნდაც, როდესაც პაციენტის მაიდენტიფიცირებელი პირადი ინფორმაცია არ ჩანს კვლევაში, მაინც უნდა მიიღო ეთიკური კომისიის დასკვნა. ზოგიერთ სიტუაციაში გვჭირდება ასევე მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თანხმობაც. მოკლედ, დღეების წინ პაციენტ სააკაშვილის კადრების გაზიარება სამედიცინო ეთიკის დადგენილი ნორმების ძალიან უხეში დარღვევა იყო. თუკი ასეთი საყოველთაო ინტერესის ქვეშ მყოფი პაციენტის კადრები ასე მარტივად და უპრობლემოდ ვრცელდება, რიგითი პაციენტის შემთხვევაში რა მოლოდინი გვაქვს?! აქ, ხაზს ვუსვამ, არ ვეხები პატიმრის უფლებებს, ეს ჩემი სფერო არ არის და კანონებს არ ვიცნობ. როგორც რიგით მოქალაქეს, არც ის მომწონს, როდესაც მედიაში, მაგალითად, ჭირისუფლების კადრების გასაჯაროება ხდება, მაგრამ აქ რა მედიაკანონები მოქმედებს, არც ეს ვიცი და კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი. აქ ვლაპარაკობ პაციენტის უფლებებზე, რომელთა დაცვა ჯანდაცვის სფეროს თითოეული წარმომადგენლის მოვალეობაა და რომლის დარღვევას ექიმებს ასე ადვილად არ გვპატიობს კანონი. ამიტომ ამ ფაქტს რეაგირება სჭირდება, საყოველთაო სახე რომ არ მიიღოს!

*„ პაციენტი დაჟინებით მოითხოვს „ხველის წამლის“ დანიშვნას, რომლისგანაც მორჩენას და შვებას ელოდება, რეალურად კი ასეთი ჯადოსნური წამლები არ არსებობს. „ხველის წამლების“ ნაწილის ამოცანაა, გაათხიეროს ნახველი, ადამიანმა უფრო იოლად რომ შეძლოს ნახველის ამოღება, ანუ ეს წამლები ხველას არ შველის, უბრალოდ, აადვილებს ნახველისგან გათავისუფლებას*

## უკრაინა

რუსეთის სასტიკი თავდასხმები გრძელდება. ოკუპანტები შეტევაში ყრიან ყველას და ყველაფერს, რაც აქვთ, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა. მისი თქმით, რუსული ძალების თავდასხმების შეჩერების ერთადერთი გზა მათი განდევნაა. „ისინი ვერ ამარცხებენ ჩვენს ჯარს, ამიტომ ფიზიკურად ანადგურებენ ყველა ქალაქს და სოფელს ისე, რომ არ არსებობდეს შენობები, არც კედლები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას რაიმე სახის თავდაცვისთვის. ამის შეჩერების ერთადერთი გზა რუსი ტერორისტების უკრაინული მიწიდან ეტაპობრივად განდევნა, რუსეთზე ზეწოლის გაგრძელებაა“, - განაცხადა ზელენსკიმ. მან მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც უკრაინისთვის მუშაობს და იბრძვის. „ მადლობა ყველას, ვინც იცავს ფრონტს დონბასში, სამხრეთში, ვინც იცავს საზღვარს, ჩვენს ცას და ჩვენს ხალხს. მარადიული ხსოვნა ყველას, ვინც სიცოცხლე გასწირა თავისუფლებისთვის!“, - თქვა ზელენსკიმ.

* * *

პენტაგონის პრესსპიკერი პეტ რაიდერი უკრაინისთვის „პეტრიოტის“ სარაკეტო სისტემების შესაძლო მიწოდებასან დაკავშირებით რუსეთის საელჩოს განცხადებას ეხმაურება და აცხადებს, რომ რუსეთი ვერ უკარნახებს შეერთებულ შტატებს, რა სამხედრო ტექნიკა გაუგზავნოს უკრაინას. რაიდერმა აღნიშნა, რომ ირონიას იწვევს, როცა რუსეთი, რომელიც თავს დაესხა მეზობელს, ანადგურებს მშვიდობიან მოსახლეობას და უკრაინის სამოქალაქო ინფრასტრუქტურას, იყენებს სიტყვა „პროვოკაციას“ იმ სისტემების აღსაწერად, რომელთა დანიშნულება სიცოცხლის გადარჩენაა. მისივე თქმით, რუსეთი არის აგრესორი და შეუძლია უკრაინიდან ჯარების გაყვანა, რითაც შეაჩერებს ომს. შეგახსენებთ, ვაშინგტონში რუსეთის საელჩოს განცხადებით, თუ შეერთებული შტატები კიევში „პეტრიოტის“ სარაკეტო სისტემებს გაგზავნის, ეს იქნება კიდევ ერთი პროვოკაციული ნაბიჯი, რომელმაც, შეიძლება, არაპროგნოზირებადი შედეგები გამოიწვიოს.

* * *

ევროკავშირი სასწრაფოდ გააქტიურებს უკრაინისთვის ჰუმანიტარული და სამოქალაქო დაცვის დახმარების მიწოდებას და დაეხმარება ქვეყანას კრიტიკული ინფრასტრუქტურის აღდგენაში, რათა მას ზამთრის გადალახვაში დაეხმაროს, - ამის შესახებ ევროკავშირის ლიდერების სამიტის შემდეგ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული. ბლოკის ლიდერები მოუწოდებენ ევროკომისიას, გააძლიეროს კოორდინაცია ევროპულ ინდუსტრიასა და საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა უზრუნველყოს უკრაინაში პრიორიტეტული აღჭურვილობის მდგრადი მიწოდება. „ევროპული საბჭო მოუწოდებს ევროპის საინვესტიციო ბანკს, კომისიასთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობით, გააძლიეროს მხარდაჭერა უკრაინის ყველაზე გადაუდებელი ინფრასტრუქტურის საჭიროებებისთვის. ევროპული საბჭო, ასევე, მოუწოდებს კომისიას, გააძლიეროს კოორდინაცია ევროპულ ინდუსტრიასთან და საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა უზრუნველყოს უკრაინისთვის პრიორიტეტული აღჭურვილობის მდგრადი მიწოდება, როგორიცაა მობილური გათბობის სადგურები, ელექტროგენერატორები, დენის ტრანსფორმატორები და მაღალი ძაბვისა და განათების მოწყობილობები“, - აღნიშნულია განცხადებაში.

* * *

უკრაინის რამდენიმე ოლქში, მათ შორის კიევში, ხარკოვში, ჟიტომირში, ვინიცაში, ჩერნიგოვში, მიკოლაივსა და კიროვოგრადში საჰაერო თავდასხმის მაუწყებელი სიგნალის ხმა ისმის. კიევის საქალაქო ადმინისტრაციამ უკრაინის დედაქალაქში მცხოვრებ მოსახლეობას თავშესაფრებში გადასვლისკენ მოუწოდა. „დედაქალაქში საჰაერო თავდასხმის სიგნალი გამოცხადდა! გთხოვთ, წადით თავშესაფარში!“ - დაწერა ადმინისტრაციამ „ტელეგრამზე“. თავშესაფრებში გადასვლისკენ მოუწოდებს მოსახლეობას ხარკოვის რეგიონალური ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ოლეგ სინეგუბოვიც.

* * *

უკრაინის საჰაერო სივრცისკენ მიმავალი 60-მდე რუსული რაკეტა დაფიქსირდა, - ამის შესახებ მიკოლაივის გუბერნატორი ვიტალი კიმი „ტელეგრამზე“ წერს. მისივე ინფორმაციით, რაკეტების ნაწილი ჩრდილოეთ უკრაინის თავზეა. „ვფიქრობ, ჩვენი საჰაერო თავდაცვა, მინიმუმ, 50+ ჩამოაგდებს“, - წერს კიმი. ამასთან ჟიტომირის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ვიტალი ბუნეჩკომ მოსახლეობა მოსალოდნელი მასობრივი სარაკეტო თავდასხმის შესახებ გააფრთხილა.

* * *

უკრაინის დედაქალაქ კიევში მეტროს მუშაობა ყველა ხაზზე დროებით შეჩერებულია, - ამის შესახებ კიევის მერმა ვიტალი კლიჩკომ განაცხადა. მისივე ინფორმაციით, მეტროს მიწისქვეშა სადგურები სარაკეტო თავდასხმის გამო თავშესაფრის ფუნქციას ასრულებს. კლიჩკომ კიევის მცხოვრებლებს თავშესაფრებში დარჩენისკენ მოუწოდა. შეგახსენებთ, რუსულმა ძალებმა უკრაინის ტერიტორიაზე მასობრივი სარაკეტო თავდასხმა განახორციელეს.

* * *

ლიეტუვამ შეერთებულ შტატებთან ხელი მოაწერა 495 მლნ აშშ დოლარის კონტრაქტს HIMARS-ის - ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების შეძენაზე, - ინფორმაციას ქვეყნის თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს. „მოხარული ვარ, რომ გავაფორმეთ ხელშეკრულება ამ მნიშვნელოვანი სისტემის შესაძენად. ახლა ჩვენ ვიწყებთ საუბარს შეერთებულ შტატებთან HIMARS-ის ინტეგრაციის კუთხით თანამშრომლობაზე, როგორიცაა პერსონალის მომზადება, ტექნიკური მომსახურება“, - განაცხადა ლიეტუვის თავდაცვის მინისტრმა არვიდას ანუსაუსკასმა, რომელიც ხუთშაბათს შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრ ლოიდ ოსტინს შეხვდა. მისი თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ HIMARS-ს ბალტიის ყველა ქვეყანა ყიდულობს. „ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობდით და ვითანამშრომლებთ ესტონეთსა და ლატვიასთან ამ შესაძლებლობების განვითარებისა და მთელი რეგიონის უსაფრთხოების გაზრდის მიზნით. HIMARS-ის პირველი მიწოდება დაგეგმილია 2025 წელს“, - განაცხადა ლიეტუვის თავდაცვის მინისტრმა. კონტრაქტის წინასწარი ღირებულება დაახლოებით 495 მლნ აშშ დოლარს შეადგენს და მას ამერიკული კომპანია Lockheed Martin-ი განახორციელებს.

* * *

კრივოი-როგში რუსული ძალების მიერ განხორციელებული სარაკეტო თავდასხმის შედეგად საცხოვრებელი კორპუსის ნაწილი ჩამოინგრა, - ინფორმაციას უკრაინული მედია დნეპროპეტროვსკის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ვალენტინ რეზნიჩენკოზე დაყრდნობით ავრცელებს. მისი თქმით, თავდასხმის შედეგად მინიმუმ ორი ადამიანი დაიღუპა, ხუთი კი დაშავდა. „მტრის მასობრივი თავდასხმა ოლქზე. კრივოი-როგში რუსული რაკეტა საცხოვრებელ კორპუსს მოხვდა. სადარბაზო განადგურდა“, - აღნიშნა რეზნიჩენკომ. მისი ინფორმაციით, დაშავებულებს შორის ორი ბავშვია.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძე**

# მოგზაურობა ჯადოსნურ ზურმუხტქალაქში

ნანა აბულაძე 577 20 35 90

***„ზურმუხტქალაქის ჯადოქარი“ - ასე ჰქვია რეჟისორ იოსებ ბაკურაძის სპექტაკლს, რომლის პრემიერაც ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრში გაიმართა***

86-ე თეატრალური სეზონის რიგით მეოთხე სპექტაკლმა, ტრადიციულად, ანშლაგით ჩაიარა. პატარებსა და მათ მშობლებზე ერთნაირად იმოქმედა ამბავმა ზურმუხტქალაქზე, საიდანაც ქარბორბალა დოროთის სახლს უცხო ქვეყანაში გაიტაცებს. სწორედ აქ იწყება დოროთის მოგზაურობა, რომელიც საოცარი თავგადასავლებით და დაუჯერებელი ამბებითაა სავსე. სანახაობრივად დატვირთული სცენები, მსახიობებისა და თოჯინების ერთობლივი თამაში, საოცარი ენერგიის მუსიკა, ფერადი და დახვეწილი დეკორაციების მონაცვლეობა, ნამდვილად ქმნიდა საზეიმო და საახალწლო განწყობას. განსხვავებული ხელწერის რეჟისორი სპექტალში არაერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ადამიანებს უნდა გვქონდეს საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა, უნდა ვიბრძოლოთ დასახული მიზნის მისაღწევად, არ დავნებდეთ ცხოვრებისეულ გამოწვევებს და ყველაფერი გავაკეთოთ საკუთარი თავის გასაძლიერებლად.



> ***„სპექტაკლი გვეუბნება, რომ ძვირფას ადამიანებთან ყოფნას არაფერი სჯობს, სიკეთე და სიყვარული, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა არის ის გასაღები, რომელიც ყველა დაბრკოლებას გადაგალახინებს***

საახალწლო სპექტაკლის დასადგმელად მოწვეული რეჟისორი, მოძრაობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იოსებ ბაკურაძე მიიჩნევს, რომ აუცილებელია თითოეულ სპექტაკლში ისე მოვყვეთ ამბავი, რომ იგი დაამახსოვრდეს მაყურებელს. რეჟისორმა, რომელმაც პირველად ითანამშრომლა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრთან, ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ძალიან გაუადვილდა პროფესიონალების გუნდთან მუშაობა.

- პირველ რიგში ვიტყვი იმას, რომ თეატრთან ჩემი თანამშრომლობა შედგა, რაც ძალიან სასიამოვნო ფაქტია. თეატრს ჰყავს არაერთი თავისი საქმის დიდი პროფესიონალი, რაც ყველა რეჟისორისთვის



უდიდესი ფუფუნებაა. საერთოდ, როდესაც შენზე გამოცდილ არტისტთან გაქვს ურთიერთობა, ბევრ დადებით ემოციას იღებ და რაც მთავარია, იძენ მეტ გამოცდილებას და ცოდნას. მეც მომზადებული ჩამოვედი აღნიშნული სპექტაკლის დასადგმელად, ძალიან კარგად დამხვდნენ. ყოველი რეპეტიცია იყო საინტერესო, ახალი მიგნებებით სავსე. მოგეხსენებათ, საბავშვო სპექტაკლზე მუშაობა განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს, ბავშვები არცერთ შეცდომას არ გვპატიობენ უფროსებს, თანაც ჩვენზე უკეთესი ფანტაზია აქვთ. აქედან გამომდინარე, ვეცადე, გასაგები ყოფილიყო ის დადგმა, რომელიც შევთავაზეთ მათ, ამავდროულად, მრავალფეროვანი, ზღაპრის მსგავსი. ძალიან მიყვარს დინამიკური სპექტაკლი, აქედან გამომდინარე, სულ ვცდილობ, ნებისმიერმა სცენამ მაყურებელს მოწყენის საშუალება არ მისცეს, მით უმეტეს, ბავშვებს, რომლებსაც ადვილად ბეზრდებათ ერთფეროვნება. თითოეულ სიტყვას, ქმედებას ვწონიდით, მთელი ძალისხმევა ჩავდეთ იმაში, რომ ბავშვების წინაშე საინტერესო, ესთეტიკურად დახვეწილი ნამუშევარი გაგვეტანა და თუ მათი ოვაციებით ვიმსჯელებთ, ჩანაფიქრის განხორციელება შევძელით. ზოგადად, თეატრი გამომსახველობითი ხელოვნებაა, აქედან გამომდინარე, ჯადოსნობა თუ არაა სცენაზე, რომელიც დაატყვევებს ბავშვებს, მარტო ტექსტის მოსმენა მათთვის მოსაწყენია. შესაბამისად, რეჟისორები და მსახიობები ვცდილობთ, თეატრალური ხრიკები გამოვიყენოთ, რომ დავიმსახუროთ პატარა მაყურებლის მოწონება და აპლოდისმენტები. რთულია დღეს ბავშვების გაკვირვება, უამრავი გასართობი საშუალება აქვთ მათ. ამიტომ უნდა შევეცადოთ, რომ „გამოვიტყუოთ“ ისინი სხვა გართობებიდან, რომელიც ძირითადად სოციალურ სივრცეს უკავშირდება და „შემოვიტყუოთ“ თეატრში, რომელსაც უდიდესი როლი აკისრია ბავშვის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში, - აღნიშნა იოსებ ბაკურაძემ.

როლსა და სპექტაკლზე მუშაობის პროცესზე გვესაუბრა მსახიობი სალომე ცაგურია.



- მე ვარ დოროთი, ამერიკელი გოგონა, რომელიც სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდება ჯადოსნურ სამყაროში, სადაც წარმოდგენა არ აქვს, როგორ უნდა მოიქცეს. მისი გული იმდენად თბილი და კეთილია, ამ ჯადოსნურ და უცხო ქალაქშიც შეიძენს მეგობრებს, შეძლებს დაეხმაროს სხვადასხვა პერსონაჟს, საბოლოო ჯამში კი იბრძვის იმისთვის, რომ ახალი წლის ღამე საკუთარ ოჯახთან ერთად გაატაროს, მიუხედავად იმისა, რომ სამყარო, სადაც ქარბორბალას შედეგად აღმოჩნდა, ძალიან ლამაზი და ფერადია. აქედან გამომდინარე, სპექტაკლი გვეუბნება, რომ ძვირფას ადამიანებთან ყოფნას არაფერი სჯობს, სიკეთე და სიყვარული, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა არის ის გასაღები, რომელიც ყველა დაბრკოლებას გადაგალახინებს. მინდა აღვნიშნო, რომ ბატონ სოსოსთან მუშაობა ძალიან სასიამოვნო პროცესია, მან ზუსტად იცის, რასაც აკეთებს. ვფიქრობ, საინტერესო სპექტაკლი გამოვიდა, ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ პატარა მაყურებლებამდე სწორად მიგვეტანა ჩვენი ემოცია, სათქმელი. თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობობა ბედნიერება და ამავდროულად, დიდი პასუხისმგებლობაა. სპექტაკლის დასრულების შემდეგ მათი ემოციების, ბედნიერი სახეების ხილვა ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდოა.

რაც შეეხება პატარა მაყურებლებს, მათ აღნიშნეს, რომ სპექტაკლი ძალიან მოეწონათ. მოეწონათ რკინის კაცი, რომელსაც გული არ აქვს და უნდა რომ ჰქონდეს, ფერადფაფრიანი ლომი, რომელიც ამბობს, რომ მხდალია და უნდა მამაცი იყოს, საფრთხობელა, რომელსაც უნდა ჭკუა ჰქონდეს, განსაკუთრებით კი გოგონა მოეწონათ, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ ჯადოსნურ სამყაროში აღმოჩნდება, სახლში, მშობლებთან და საყვარელ ადამიანებთან დაბრუნება სურს. თითოეულ მათგანს სჯერა, რომ ახალი წლის ჯადოსნურ ღამეს სპექტაკლში მონაწილე ყველა პერსონაჟს, ისევე როგორც ყველა ბავშვს, სურვილები აუხდებათ.

# სალონური საღამოს სტუმარი – პაატა ჭურკვეიძე

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***ვოკალურ ანსამბლ „ბათუმის“ სოლისტ პაატა ჭურკვეიძეს საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა არ აკლია. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გამართულ სალონურ საღამოზე „სტუმრად ვახტანგ ღლონტთან“.***

ვახტანგ ღლონტმა მომღერლის მიერ განვლილ გზაზე ისაუბრა. შუახევის მთიან სოფელში დაბადებული ჭაბუკის ხელოვნებასთან ზიარება ანსამბლის ხელმძღვანელის თემურ დოლიძისა და მისი თითოეული წევრის დამსახურებაა.

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა, მისმა მოადგილე აკაკი ძნელაძემ, პოეტმა გენრი დოლიძემ, მწერალმა ნიაზ ზოსიძემ, ბათუმის კოლორიტმა გია ცანავამ, თემურ დოლიძემ, ჟურნალისტმა ოთარ ცინარიძემ, მსახიობმა ზებურ ველიაძემ, პაატას თანასოფლელმა შალვა ველიაძემ, ძმა იაგო ჭურკვეიძემ კიდევ ერთხელ აღნიშნეს პაატას როლი და დამსახურება ეროვნული ფოლკლორის განვითარებაში.

საღამო ვოკალურ ანსამბლ „ბათუმის“ მომღერლებმა უფრო გაალამაზეს. სიმღერებში პაატა და მისი ძმა იაგოც ერთვებოდნენ.

პაატა ჭურკვეიძემ საღამოს ორგანიზატორსა და დამსწრეთ მადლობა გადაუხადა გულთბილი შეხვედრისთვის.

**დავით გაბაიძე:** მიხარია, რომ დღეს ასეთ ხელოვანს მოვეფერეთ. ასე მგონია, პაატასთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს, რადგან ის ყველას მეგობარია და ამას სცენიდან გამოხატავს, თავმდაბალი, მოსიყვარულე ადამიანი უდიდეს პატივს მიაგებს იმ ხელოვანებს, რომლებმაც მის ცხოვრებაში, პროფესიულ წინსვლაში თავისი წილი გაიღეს.

**მაია ხაჯიშვილი:** ერს, ქვეყანას, კუთხეს პაატას სადარი ხელოვანები რომ ჰყავს, ეს უდიდესი საუნჯეა. ასეთი ადამიანები სიცოცხლეშივე იდგამენ ძეგლს.



# სანქციების მე–9 პაკეტი...

***ევროკავშირის საბჭოს პრესსამსახურის ინფორმაციით, ევროკავშირმა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მე-9 პაკეტი დაამტკიცა***

„სურსათისა და შიმშილის შემდეგ პუტინი ახლა ზამთარს იყენებს როგორც იარაღს, როდესაც მიზანმიმართულად ართმევს მილიონობით უკრაინელს წყალზე, ელექტროენერგიასა და გათბობაზე წვდომას. ევროკავშირი პასუხობს ამ ბოლო ესკალაციას და სამხედრო დანაშაულს ჩვენი მკაცრი სანქციების მეცხრე პაკეტით. ჩვენ გავაგრძელებთ სანქციების მიმართვას ეკონომიკისა და მათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უწყობს ამ სასტიკ ომს“, - თქვა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უშიშროების პოლიტიკის საკითხებში ჟოზეფ ბორელმა. სასანქციო პაკეტს ახალი შეზღუდვები და საექსპორტო კონტროლის ზომები შემოაქვს ორმაგი დანიშნულების პროდუქტებსა და ტექნოლოგიებზე, ასევე პროდუქტებსა და ტექნოლოგიებზე, რომლებსაც შეუძლიათ რუსეთის თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის ტექნოლოგიურ განვითარებას შეუწყონ ხელი. სანქციები დამატებით შეეხება რუსეთის ფედერაციის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთან დაკავშირებულ 168 სუბიექტს. „ეს შეუძლებელს გახდის საკვანძო ქიმიკატებით, ნერვულ-პარალიტიკური ნივთიერებებით, ღამის ხედვისა და რადიონავიგაციის ხელსაწყოებით, ელექტრონიკითა და IT-კომპონენტებით თავისუფლად ვაჭრობას, რომლებიც შესაძლოა, გამოყენებულ იქნას რუსული სამხედრო მანქანის მიერ“, - წერია ევროსაბჭოს განცხადებაში. სიაში ასევე შეყვანილია უკანონოდ ანექსირებულ ყირიმში ან სევასტოპოლში მდებარე რუსეთის მიერ კონტროლირებადი ზოგიერთი ორგანიზაცია. ევროკავშირმა ასევე გააფართოვა ექსპორტის აკრძალვა პროდუქტებსა და ტექნოლოგიებზე, რომლებიც დაკავშირებულია საავიაციო და კოსმოსურ მრეწველობებთან. აკრძალვა როგორც პილოტირებად, ასევე უპილოტო საფრენ აპარატებზე გავრცელდება. ამიერიდან აკრძალული იქნება უპილოტო საფრენი აპარატებისთვის ძრავების ექსპორტი რუსეთში ან ნებისმიერ ქვეყანაში, რომელსაც შეუძლია რუსეთისთვის დრონების მიწოდება. გარდა ამისა, ევროკავშირი კიდევ ორი რუსული ბანკის აქტივებს გაყინავს და დაამატებს „სრულიად რუსეთის რეგიონული განვითარების ბანკს“ იმათ სიას, რომლის ოპერაციებზე სრული აკრძალვა გავრცელდება. ევროკავშირის საბჭომ ასევე დაიწყო კიდევ ოთხი რუსული არხის სამაუწყებლო ლიცენზიის შეჩერების პროცესი: „НТВ“/„НТВ Мир“, „Россия 1“, „Рен ТВ“ და „Первый канал“. ასევე, ევროკავშირის მოქალაქეებს აეკრძალებათ რუსეთის სახელმწიფო ან სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ორგანიზაციებში ნებისმიერი თანამდებობის დაკავება წამყვან ორგანოებში.

**ამირან გურიელიძე**

# „ნუ ველოდებით სასწაულებს, ყველამ ჩვენი წილი გავიღოთ უკეთესი ქვეყნის შესაქმნელად“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*ირმა კეკელიძე დღვანის საჯარო სკოლის პედაგოგია. წლებია შემოქმედებით საქმიანობას ეწევა. მის ლექსებს მკითხველი პერიოდული პრესით იცნობს. ირმა ახლახანს გამართული საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ნომინანტია. აღიარება ზეპირსიტყვიერებაში მოიპოვა. იგი ჩვენი სტუმარია.*

**- ქალბატონო ირმა, ახლანდელი ფესტივალის მიზანი რა იყო?**

- ფესტივალი ყოველთვის ზეიმთან ასოცირდება, სადღესასწაულო განწყობას ქმნის. შესაბამისად, იდეა, დედააზრი და მიზანიც არის ის, რომ ანალოგიურმა ფესტივალებმა უზრუნველყოს კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის წახალისება, არამატერიალური კულტურის შენარჩუნება და პოპულარიზაცია. ასეთი ფართომასშტაბიანი ფესტივალი, რომელიც დედაქალაქში გაიმართა, პირველია.

**- დიდმა ფოლკლორისტმა ეთერ თათარაიძემ გამოგარჩიათ. შუახევიდან დაწყებული ურთიერთობა თუ გრძელდება?**

- ფოლკლორის შესარჩევი ტური შუახევში რომ იმართებოდა, კულტურის ცენტრის მაშინდელი დირექტორის მაკა მაკარაძის თხოვნით წავიკითხე ლექსი, რომელმაც იმთავითვე ჟიურის მოწონება დაიმსახურა. ქალბატონი ეთერ თათარიძის და ჩემი ურთიერთობაც იმ დღიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება, რა თქმა უნდა, პროფესიული თვალსაზრისით.

**- ზეპირსიტყვიერებაში ჟიურიმ 13 კონკურსანტს მოუსმინა. მათგან რომელი დაგამახსოვრდათ?**

- თბილისში, თუმანიშვილის თეატრში უკვე საპრიზო ადგილზე გასული კონკურსანტები წარვსდექით, შესაბამისად, თითოეულის გამოსვლა იყო თავისთავადი, ყველა მათგანს თავისი ნიშა ჰქონდა, როგორც ინდივიდუალურ შემსრულებლებს, ასევე ანსამბლებს. განსაკუთრებულად ვერავის გამოვარჩევ.

**- კარაპეტი და დღვანი ის სოფლებია, სადაც ქართულ სიტყვას, ეროვნულ ადათ-წესებს, ფოლკლორს გამორჩეულად ეფერებიან...**

- სოფლებში ფოლკლორის მარგალიტები უფროა შემონახული. ფოლკლორის მესვეურნიც ხომ სოფელ-სოფელ დადიან მათ შესაგროვებლად. ყველა სოფელს ჰყავს კოლორიტი ადამიანები ფოლკლორის მიმართულებით და სხვადასხვა შესაძლებლობით. ჩემს შემოქმედებაშიც შეინიშნება სოფლის გავლენა, რადგან ყველა ლექსს ლაიტმოტივად გასდევს სოფლის, მთის სიყვარული და მიგრაციის გამო გამოწვეული სინანული. მაგალითად:

**დაილოცოს სოფლის მადლი, მისი მიწა და გამჩენი,**
**ხალხო, ჩვენ ვართ, მხოლოდ ჩვენ ვართ მთის და სოფლის გადამრჩენი,**
**გაუმარჯოს ჩემს მთასა და მის უბადლო ბუნებას,**
**მასზე ფიქრი სულ მისწორებს ხასიათს და გუნებას.**

ან კიდევ: **მახსენდება გუშინარი, დარდი, სერის გვერდები,**
**ნაყორავზე - გოგოებთან მოყოლილი დერდები.**

**- ლექსი, რომელიც ფესტივალის დასკვნით ღონისძიებაზე წარადგინეთ...**

**ჰოიდა ნანა, ოჰოი ნანა,**
**შეიცვალა ეს ქვეყანა,**
**ორი ბუკი ძროხა მყავს და**
**ბოსტნისხელა ჭალა-ყანა.**
**ტრაქტორების ცვენა არის,**
**რა მესმის და რა დევნახე,**
**ფარცხი, ჯილღა და გუთანი,**
**აღარც მახსოვს, ჰა შევნახე..**
**ხარმაც, ქალმაც შვება ნახა**
**და სოფელი გახდა კარგი,**
**ქალაქს წასვლა გედევფიქრე,**
**აღარა მაქვს აფრის დარდი.**
**ზემოდანაც გადმოგვხედეს,**
**კარგი საქმე მოგვიგვარეს,**
**ასფალტი და ბეტონის გზა**
**კიბეებთან მოგვიყვანეს.**
**ყველა ოჯახს მანქანა ჰყავს,**
**ზოგს - ჯიპი, ზოგს - ოპელიო,**
**ჰალვასავით გაგემრელდა,**
**დალოცვილი სოფელიო.**



**- ოჯახის როლზე რას იტყვით?**

- ოჯახი პატარა სახელმწიფოა, რაც უფრო იდილიური ურთიერთობებია ოჯახში, მით უფრო ადვილია ნიჭის რეალიზება. თუ სიტუაცია დაძაბულია სოციალური ან ეკონომიკური თვალსაზრისით, შემოქმედება უკანა პლანზე იწევს და მთავარი ამ პრობლემების მოგვარებაა და არა „ლექსებისა და მინიატურების ჯღაბნა“. ამიტომ, ვფიქრობ, ოჯახს დიდი როლი და მნიშვნელობა აქვს შემოქმედების გამრავალფეროვნებისთვის. მადლობა უფალს, მაქვს ოჯახისაგან ხელშეწყობა და თანადგომა, რომ ჩემს ლექსებს მივცე ფართო ასპარეზი.

**- როგორც ვიცი, კრებულის გამოცემას აპირებთ. წიგნს როგორ დაასათაურებთ?**

- წიგნის სათაურს რაც შეეხება, აუცილებლად სოფელთან და მთასთან იქნება დაკავშირებული, რაღაც თვალსაზრისით ახსნის მის სიმყუდროვესა და სიმშვენიერეს. ჩემთვის ორივე სოფელი - კარაპეტი და დღვანი მნიშვნელოვანია. ერთი ჩემი გამზრდელია, მეორეში სამუდამო განსასვენებელი უნდა ვპოვო.

**- ცხელ გულზე ან დარდმორეულს ლექსი თუ დაგიწერიათ?**

- დამშვიდებული, ცივი გონებით მხოლოდ იუმორისტულ ლექსებს ვწერ. დანარჩენი თითქმის ცხელ გულზეა დაწერილი. ერთი ლექსიც ზუსტად ასე იწყება:

**ამ ცივ დღეს და ამ ცხელ გულზე ლექსს დაგიწერ, შვილო,**
**ჩემთვის მუდამ პატარავ და ჩემთვის მუდამ ჩვილო,**
**მთვარესავით ნათელო და მზის სხივივით თბილო,**
**ხან - ჯიუტო, ხან - თავნებავ, ხან - უზადოდ ზრდილო.**

**- ორი სტუდენტი შვილის დედას, მათსავით რომელი ლექსი გიყვართ?**

- ყველაზე მეტად ისევ მათზე დაწერილი ლექსები მიყვარს. მათი დაბადების ბედნიერებამ რომ შთამაგონა. ესენია: „პირველი შვილი პატარა ანა“ და „მეორე შვილი ჩემი მიშიკო“.

**- ვარამი, რომელიც ირმა კეკელიძის მუზის თანმდევია...**

- ჩემი ვარამი და არა მარტო ჩემი, ისევ და ისევ მიგრაციაა. გამოკეტილი სახლები, ჩამქრალი საკვამურები, გადარაზული ჭიშკრები... ერთ ლექსში მიწერია:

**სახლებს უკე ძაღლის ნაცვლად,**
**ბოქლომ(ებ)ი დარაჯობს.**

მამლის ყივილიც უკვე აქა-იქ ისმის და ყველაზე ცუდი რაც არის, უბნებში ორი ან სამი ბავშვია დარჩენილი, რაც ერთი-ორად აუფერულებს სოფელს და გულს გვტკენს უძლურ ჭირისუფალს.

**- შარჟებიც გაქვთ. ადრესატები ხომ არ გინაწყენდებიან?**

- სათქმელს ისე ვამბობ, რომ არც მწვადი დავწვა და არც შამფური. იუმორის მოყვარული ადამიანი გამიგებს, „ფსევდოკრიტიკოსი“ კი მაინც ნახავს რაიმე ხელჩასაჭიდს გასაკიცხად. მთავარი მაინც ისაა, რასაც გულით გრძნობ და თვალით ხედავ, ის რეალობა დაწერო. ვინმეს საამებლად, გულის გასახარად დაწერილი, სიკეთეს ვერ მოიტანს.

**- დამდურებული ადრესატის შემორიგებისას კაფია თუ გამოგიყენებიათ?**

- შემორიგების არ მახსენდება, რადგან დამდურებასაც ვერ ვიხსენებ, მაგრამ სხვა დატვირთვით ძალიან ბევრი კაფია დამიწერია. განსაკუთრებულად მახსენდება იმერელ მეგობართან „ჭიდილი“ - მე ჩემს კუთხეს, სუფრასა და ადათ-წესებს ვასხამდი ხოტბას, ის კი თავისას. ძალიან სახალისო გამოვიდა, რომელიც მან ერთად შეკრა და სოციალურ ქსელში პოსტის სახით განათავსა. დიდი მოწონება და თბილი კომენტარებიც დაიმსახურა მკითხველებისგან.

**- პირველი ლექსის შემფასებელი თუ გახსენდებათ?**

- პირველი ლექსი მთაში დავწერე, როცა მემთეურად წასულ დედას ვახლდი. იუმორისტული იყო. მახსოვს, როგორ უხაროდა დედას და უყვებოდა მეზობლებს ამის შესახებ. ამან უფრო გამათამამა და მომცა სტიმული. შესაბამისად, დედას ვუკითხავდი პირველად, ის იყო ჩემი პირველი შემფასებელი. ასაკის მატებასთან ერთად ლექსებში სატრფიალო ლირიკამაც რომ იჩინა თავი, ჩემი მკითხველები და შემფასებლები უფრო მეგობრები გახდნენ.

**- ნოდარ, თამაზ, ნოშრევან, შაქრო, ნადია ფუტკარაძეების სახით დღვანს ზეპირსიტყვიერების, ფოლკლორის ოსტატები ჰყავდა. თქვენ მათ გზას აგრძელებთ?**

- ყველა გამორჩეული იყო თავისი ინდივიდუალობით. ზოგს ვიცნობდი, ზოგიერთზე - გადმოცემით ვიცი. მიზანმიმართულად არა, მაგრამ საერთო ჯამში, ჩემი შემოქმედება ერთგვარი გაგრძელებაა იმისა, რაც დღვანში მცხოვრები ადამიანების თანმდევი ნიჭია.

**- პოეტი ქალი, დედა, რა მესიჯს გაუგზავნი უკრაინელ დედებსა და კოლეგებს?**

- ალექსანდრე ყაზბეგის სიტყვებს მოვიშველიებ: „ერთხელ ნაშობი ერთხელ მოკვდება, მაგრამ ისე უნდა მოკვდე, ხევს შენი დამარხვა არ ეთაკილებოდეს“. ჩემი გზავნილიც ეს არის. სანამ პირში სული უდგათ, დაიხარჯონ პროფესიული თვალსაზრისით, არ დაკარგონ იმედი და ისტორიის ფურცლებს შემორჩნენ როგორც ძლიერი, მებრძოლი, თავისი ქვეყნის, სამშობლოს მოყვარულნი, დამცველნი, რომლებმაც კარგად იციან თავისუფლების ფასი. სამართალმა უნდა იზეიმოს. ბოროტება უნდა დამარცხდეს. სტერეოტიპი რუსეთის უძლეველობის შესახებ უნდა დაიმსხვრეს. სიმრავლე ყოველთვის ვერ სძლევს სიმამაცეს, ხანდახან პირიქით ხდება. მეც ამის იმედი მაქვს.

**- სკოლა, ოჯახი, საზოგადოებრივი აქტივობა დიდ დროს გართმევთ. ლექსისთვის როდის იცლით?**

- როცა მუზა შემოგაწვება და რაღაცის დაწერა მთელი გულით მოგინდება, ამ დროს ფრთაშესხმული, ამაღლებულ განწყობაზე და სიხარულით პირთამდე სავსე ხარ. შეგიძლია მიატოვო ყველა საქმე, განმარტოვდე და ლექსის პწკარები სათუთად გადაიტანო ფურცელზე. ამისთვის დროს ყოველთვის ვპოულობ, მნიშვნელობა არ აქვს, დღეა თუ ღამე, უბრალოდ, განმარტოება მჭირდება. ზოგჯერ მუზა გამქცევია ღამეში, რადგან „დაუპატიჟებელ სტუმარს“ კალამი და ფურცელი ვერ დავახვედრე, საწოლიდან წამოდგომა კი დამზარებია. ახლა ჭკუა ვისწავლე და სასთუმალთან მიდევს, რადგან როცა მეწვევა, „გავუმასპინძლდე“ და უკან არ გავაბრუნო დაუხარჯავად.

**- პროზაული ნაწარმოების თარგმნა შედარებით იოლია, მაგრამ პოეზიას თუ არ გაუგე...**

- გააჩნია მთარგმნელს. რეზო თაბუკაშვილსა და ალექსანდრე ელერდაშვილს აქვთ ნათარგმნი შექსპირის ერთი და იგივე სონეტები, რომელიც ერთი მეორეზე უკეთესია. დარწმუნებული ვარ, ორიგინალში არ იქნება ისეთი რითმული და რიტმული სტრიქონები, როგორც ქართულად ნათარგმნშია, გულის სიღრმემდე რომ ჩაგწვდება, ერთი წაკითხვა წყურვილს რომ ვერ მოგიკლავს და მეორედ დაეწაფები წყაროს წყალივით.

**- პოეტს მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრება არ აქვს. წიგნის გამოცემას საკუთარი ხარჯებით აპირებთ თუ...**

- ზედმეტმა თავმოყვარეობამ ის შედეგი მომიტანა, რომ დღეს კრებულის გარეშე ვარ. დიდი ოჯახის პატრონმა თავი ვერ მოვუყარე საჭირო თანხას, თხოვნით კი არავის მივმართე. ბოლო დროს ერთმა ჭკვიანმა ადამიანმა ასე დამაკვალიანა, „თუ ბავშვი არ იტირებს, დედა ძუძუსაც არ მისცემსო“... მეც დავფიქრდი: იქნებ ღირს ვინმეს შეწუხება? ქველმოქმედება დიდი ნიჭია და ამასთანავე, დიდი მადლი. იქნებ გამოჩნდეს ვინმე ამ ნიჭის მატარებელი და მადლით გაცისკროვნდეს.

**- სულ მალე ახალი წელი შემოაბიჯებს დედამიწაზე. თქვენი სურვილები?**

- პირველ რიგში, მშვიდობა მინდა ვუსურვო მთელ მსოფლიოს. ჩემი სამშობლოსთვის იგი გაერთიანების, სიმშვიდის, წინსვლის, სიკეთისა და სიუხვის წელი ყოფილიყოს. გონება გაგვინათოს უფალმა და სწორი გზით გვატაროს, თორემ დიდი ილია ჭავჭავაძისა არ იყოს: „ჩვენ წინ უზარმაზარი თხრილია, საკმარისია ერთი ხელის კვრა და დედაბუდიანად შიგ გადავიჩეხებით“. ამიტომ თვალებზე ხელებს ნუ ვიფარებთ, ყურებს ნუ ვიხშობთ და ნუ ველოდებით სასწაულებს, ყველამ ჩვენი წილი გავიღოთ უკეთესი ქვეყნის შესაქმნელად. „სხვა რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

*„სათქმელს ისე ვამბობ, რომ არც მწვადი დავწვა და არც შამფური. იუმორის მოყვარული ადამიანი გამიგებს, „ფსევდოკრიტიკოსი“ კი მაინც ნახავს რაიმე ხელჩასაჭიდს გასაკიცხად. მთავარი მაინც ისაა, რასაც გულით გრძნობ და თვალით ხედავ, ის რეალობა დაწერო. ვინმეს საამებლად, გულის გასახარად დაწერილი, სიკეთეს ვერ მოიტანს*

# „სახელმწიფოს მოღალატე“ აფხაზი ბლოგერი – საქართველოს მოქალაქე



სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციით, ბლოგერმა დაურ ბუავამ, რომელსაც ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება სახელმწიფოს ღალატში ადანაშაულებდა, საქართველოს მოქალაქეობა მიიღო.

ბუავას თქმით, მან საქართველოს მოქალაქეობა გამარტივებული წესით მიიღო და იანვრიდან ეს ფორმა ოკუპირებული ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანებისთვის კიდევ უფრო გამარტივდება. „ოფიციალური თბილისი აფხაზ ხალხს თავის თანამოქალაქეებად მიიჩნევს და ეს ეხება სამაჩაბლოსაც. მოქალაქეობის მისაღებად აუცილებელია, შეაგროვოთ ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტების მცირე პაკეტი“, - აცხადებს ბლოგერი.

ახალგაზრდული მოძრაობა „ამრას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი დაურ ბუავა გასული წლის შემოდგომიდან თბილისში ცხოვრობს. მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას საფუძვლად ბლოგერის Tiktok-ის ანგარიში დაედო. ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში მიაჩნიათ, რომ მისი ვიდეოები მიმართულია „რესპუბლიკის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და თავდაცვის შესაძლებლობების საზიანოდ“.

ამირან გურიელიძე

# ერთი წლის საქმიანობა გააცნო

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

**შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე წარმომადგენლობით ორგანოში უჩამბელთა მაჟორიტარია. მისი აქტიურობით, ქვეყნის, რეგიონისა და ადგილობრივი ხელისუფალის დახმარებით, ერთი წლის განმავლობაში უჩამბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში 50-მდე დიდი და პატარა პროექტი განხორციელდა**

ლაკლაკეთის, ცინარეთისა და ტბეთის ცენტრები მოეწყო, წაბლანის ცენტრის კეთილმოწყობა მთავრდება. ჯაბნიძეებში ბაგა-ბაღი ექსპლუატაციაში შევიდა. ასეულობით კუბური მეტრი ბეტონის საფარი დაიგო სოფლების საავტომობილო გზებზე, სასმელი წყლის სისტემა მოწესრიგდა სოფელ მოფრინეთში, ამავე სოფლის ერთ უბანში საავტომობილო გზის ახალი მონაკვეთი გაკეთდა.



გარე განათება მოეწყო 7 სოფელსა და რამდენიმე უბანზე. მთა ღომაზე დაიწყო და მომავალ წელს დასრულდება სტადიონის მშენებლობა. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის თანადგომით, ამავე მთაში მისასვლელ გზაზე გაისად ბეტონის საფარი დაიგება და საპიკნიკე ადგილი მოეწყობა. გაისადვე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება სოფელ ცინარეთის სარწყავ არხს.

გაკეთებულსა და მომავალ საქმეებზე ისაუბრა როსტომ ლორთქიფანიძემ სოფელ ცინარეთში, როცა საკრებულოს უმრავლესობის წევრებთან ერთად, ამომრჩევლებს ერთი წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობა გააცნო.

- პირველი წელი ჩემთვის დიდი გამოწვევა იყო, გვქონდა სირთულეებიც, მაგრამ დიდი გამოცდილებაც მივიღე, რაც მომავალ საქმიანობაზე აუცილებლად აისახება, - თქვა როსტომ ლორთქიფანიძემ.

შეხვედრაზე დისკუსია გაიმართა. ამომრჩევლებმა - ნათელა ბახტაძემ, შალვა ცინარიძემ, ზებურ კეჟერაძემ, გულნაზ ზოსიძემ საკრებულოს თავმჯდომარეს რიგი პრობლემების გადაწყვეტაში დახმარება სთხოვეს, გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადეს.

წარმომადგენლობით ორგანოში არჩევისთანავე საკრებულოს უმრავლესობის წევრები, თავმჯდომარესთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩართული სოციალური პაკეტის განხორციელებაში. ისინი სახელფასო დანაზოგიდან ყოველთვიურად პირველადი სახის საკვებ პროდუქტებს იძენდნენ და სოციალურად დაუცველ ოჯახებს გადასცემდნენ. სულ 30-მდე სოციალურად დაუცველ ოჯახს დაეხმარნენ.

საკრებულოს თავმჯდომარე მსგავს შეხვედრებს სხვა სოფლებშიც გამართავს.

# სტანდარტულ მანდარინს 20-ზე მეტი საწარმო იბარებს

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

*ქობულეთის მუნიციპალიტეტში, არასტანდარტული ციტრუსის მიმღებ-გადმამუშავებელ ქარხანაში მანდარინის მიღება აქტიურად მიმდინარეობს. პროცესს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, პირველ მოადგილე, არჩილ ბერიძესთან ერთად, ადგილზე გაეცნო*



საწარმო შეუზღუდავი რაოდენობით მიიღებს არასტანდარტულ მანდარინს. დღეის მდგომარეობით ქარხანას უკვე მიღებული და გადამუშავებლი აქვს 1 500 ტონა არასტანდარტული მანდარინი.

კომპანიაზე, რომელიც 1 კგ სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილ მანდარინს 20 თეთრად იბარებს, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო 1 კგ მანდარინზე 15 თეთრის სუბსიდიას გასცემს. რაც შეეხება სტანდარტულ მანდარინს, დღეის მდგომარეობით, უკვე ექსპორტირებულია 6 500 ტონა სტანდარტული მანდარინი. მოსავლის აღება-დაბინავების ორგანიზებულად განხორციელების მიზნით მუშაობს ციტრუსის საკოორდინაციო შტაბი.

მიმდინარე წლის ციტრუსის სეზონზე სტანდარტულ მანდარინს 20-ზე მეტი საწარმო იბარებს.

# ლადო ფუტკარაძე – „ეტალონის“ გამარჯვებული

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლის XI კლასის მოსწავლე ლადო ფუტკარაძე „ეტალონის“ გამარჯვებულია*



ამ საგანმანათლებლო კერაში მოსვლისთანავე მან თანაკლასელებისა და აღმზრდელების ყურადღება მიიპყრო სანიმუშო დისციპლინითა და მაღალი აკადემიური მოსწრებით. ლადო ყველა სასწავლო საგანს ერთნაირი მონდომებით სწავლობს და მომავალში ოქროს მედალოსნობის კანდიდატია. მისი არჩევანი ზუსტი მეცნიერებებია, გამორჩეულად კომპიუტერული ტექნოლოგიები აინტერესებს და არჩევანსაც მასზე აკეთებს.

ლადო ფუტკარაძე დაბალ კლასებში სწავლისას დაინტერესდა ინტელექტუალური შეჯიბრით, რომელსაც „ეტალონი“ ატარებს და 2021 წელს ქალაქ ბათუმში გამართულ შეჯიბრში პირველი ადგილი დაისაკუთრა. წელს ინტელექტუალურ შეჯიბრში იგი შუახევიდან ჩაერთო, როგორც ამ ტერიტორიაზე არსებული სკოლის მოსწავლე. რაიონულ ასპარეზობაში, რომელშიც 100-მდე კონკურსანტი მონაწილეობდა, ლადომ ყველას აჯობა და რესპუბლიკურ შეჯიბრში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. მისი ინტელექტი ამჯერადაც ყველაზე შედეგიანი გამოდგა - „ეტალონის“ გამარჯვებული გახდა. მან 5 წუთსა 14 წამში 82 ქულა დააგროვა და უახლოეს მეტოქეს 46 წამითა და ერთი ქულით აჯობა.

გაზეთი „აჭარა“ ულოცავს ლადოს ამ დიდ წარმატებას.

# ავტომობილის რეგისტრაცია ძვირდება

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

*საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა კანონპროექტი, რომელიც 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ავტომობილის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების 185,7%-ით გაძვირებას ითვალისწინებს*

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანას მხარი 82-მა დეპუტატმა დაუჭირა.

ცვლილებების თანახმად, სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობის გაცემა 35 ლარის ნაცვლად 100 ლარი ეღირება, ავტომობილის რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) ერთი წყვილის გაცემა კი 35 ლარის ნაცვლად, 80 ლარი იქნება. დაკარგული ან დაზიანებული რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის) ერთი წყვილის აღდგენა, ასევე, 35 ლარის ნაცვლად 80 ლარი ეღირება.



როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, საქართველოს ავტოპარკის ზრდის ფონზე, მომსახურების სააგენტოს დატვირთვის პარალელურად, დღის წესრიგში დადგა მომსახურების საფასურის კორექტირება და, შესაბამისად, კანონში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

კანონპროექტის ავტორების განცხადებით, საქართველოში ავტოპარკი წელიწადში საშუალოდ 50-70 ათასი ავტომობილით იზრდება, ბოლო 10 წელიწადში კი თითქმის გაორმაგდა. თუ 2010 წელს ავტომობილების რაოდენობა 732 ათასზე მეტი იყო, 2022 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 1,6 მილიონი შეადგინა.

რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს, როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათში წერია, მომსახურებების ფასთა კორექტირება გაზრდის მომსახურების სააგენტოს შემოსავალს, რაც ასევე გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას. შესაბამისად, გაზრდილი დაფინანსების ხარჯზე შესაძლებელი იქნება საპატრულო პოლიციის რესურსის ზრდა - მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების სათანადოდ შესრულების უზრუნველსაყოფად.

# „სისხლში არაფერი აღმოჩნდა და მწვავე ინტოქსიკაციაზე სპეკულაციები დასრულდა“

მე-3 გვერდიდან



ნებისმიერ მოთხოვნასა თუ წესს ასევე არეგულირებს მიზანშეწონილობისა და თანაფარდობის პრინციპი. მნიშვნელოვანია, ასევე, სიმართლე და სამართლიანობა. საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა გახდა ალბათ ის ზღვარი, რამაც იუსტიციის სამინისტროს ეს გადაწყვეტილება მიაღებინა. აქ მთავარი, ჩემი აზრით, არის ის, რომ ახლა ქვეყანაში დესტაბილიზაციის შემოტანის ვექტორად რადიკალურმა ოპოზიციამ ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობის საკითხი აირჩია. ალბათ სხვა მიმართულებებით შედეგი ვერ დადეს. ვერც პარტიამ და ვერც ახლობლებმა დავალება სათანადოდ ვერ შეასრულეს. ამიტომ საწყისი ბიძგის ფუნქციის აღებას, სავარაუდოდ, თავადვე ფიქრობს. რაც შეეხება კადრებს, საკმაოდ ინფორმაციულია. შესაძლოა სხვადასხვა ინტერპრეტაცია მოჰყვეს და ეს არც არის გასაკვირი, თუმცა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა - რა პირობებში იმყოფება და როგორია მის მიმართ მედპერსონალის დამოკიდებულება, ვფიქრობ, კითხვები აღარ დაისმება“.

საინტერესოა, რას ფიქრობს აღნიშნულ საკითხზე აჭარის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრი, პროფესორი **გიორგი მასალკინი:**

„ეს კადრები არ უნდა გამოქვეყნებულიყო. სხვა გზები არსებობს რეალობის დასანახად.

რა შთაბეჭდილებები დამიტოვა? - მძიმე, თან არ მიმაჩნია, რომ ინფორმაციული იყო. ყველა თავის ინტერპრეტირებას მოარგებს ამ კადრებს. ისე, სააკაშვილის ფსიქიკა დიდხანს არსებულ მდგომარეობას რომ ვერ გაუძლებდა, ამაში დარწმუნებული ვიყავი.



და კიდევ - მრჩება შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილის ცუდად ყოფნა ორივე მხრიდან ბევრისთვის სასურველია, მიზანია“.

აზრთა სხვადასხვაობაც და მათი გამოთქმის შესაძლებლობაც დემოკრატიის ნიშანია და კარგია, რომ საზოგადოების მოთხოვნები ამ მიმართულებით იზრდება. იმასაც თუ შევძლებთ, რომ ჩვენი შეხედულება კორექტულად, მძიმე და დაუსაბუთებელი ბრალდებების, სხვისი დამცირებისა და შეურაცხყოფის გარეშე გამოვთქვათ და სამშობლო ორ დაპირისპირებულ ბანაკად არ ვაქციოთ, ბევრად უფრო წაადგება დემოკრატიასაც და ქვეყნის განვითარებასაც.

მარი მიდასელი

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

ურეხში იყიდება 800 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი ხეხილითა და ციტრუსით. დაგვიკავშირდით მობილურზე: 574 01 25 62. იკითხეთ ასლანი.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და აჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 16/12/22, 21 50 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# კონკურსი „ზღვაური" გამარჯვებულებს ასახელებს

## მარიამ გოჯიაშვილსა და რეზო შარაშიძეს ოქროს დიპლომები გადაეცათ

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ფრიდონ ხალვაშისა და ზურაბ გორგილაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსის „ზღვაური - 2022" საიუბილეო, მეათე დაჯილდოება და ლიტერატურულ ჟურნალ „ზღვაურის" მე-9 ნომრის წარდგენა გაიმართა*

დაჯილდოებას ესწრებოდნენ აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, მოადგილე აკაკი ძნელაძე, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის უფროსი და ამავე რეგიონის მწერალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი, პოეტი და პუბლიცისტი ლაშა გვასალია. „სოროპტიმისტ ინტერნეიშენალი" ბათუმის კლუბის პრეზიდენტი ადა ქუთელია, ცნობილი ბათუმელები... წელს კონკურსის ჟიურიში იყვნენ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, პოეტი მაყვალა გონაშვილი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით თედორაძე, მწერალი, არაერთი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, სამართლის დოქტორი ირაკლი შამათავა, პოეტი, პუბლიცისტი, მკვლევარი და მეცნიერი იაშა თანდილავა, აჭარის მწერალთა სახლის დირექტორი ლალი კონცელიძე. ჟიურის საპატიო წევრი გახლდათ ქუთაისელი ექიმი, საზოგადო მოღვაწე, პოეტი, ლიტერატურულ კლუბ „ზღვაურის" „რჩეული-2021" პრიზის მფლობელი მერაბ კვიცარიძე. მეორე ეტაპიდან მესამეზე გადამსვლელი ნაწარმოებები შეაფასეს პოეტმა ანა-ქალთამზე სურმანიძემ და პროექტის დამფუძნებელმა და ავტორმა - ბელა ქებურიამ, რომელიც დაჯილდოების ცერემონიას უძღვებოდა.

დაჯილდოებაზე მოწვეულნი იყვნენ არა მხოლოდ ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს დიპლომის მფლობელები და ის 8 ფინალისტი, რომლებმაც რეიტინგულად ყველაზე მაღალი ქულები დაიმსახურეს, არამედ ის მონაწილეებიც, რომლებიც ფინალში ვერ მოხვდნენ, მაგრამ ჟიურის რომელიმე წევრის განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურეს. წელს ასეთი აღმოჩნდა ბათუმის მე-14 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე მაგდა დავითაძე, რომელმაც საკონკურსო ნაწარმოებში „კრწანისის ყაყაჩოები" პრობლემატური საკითხი წამოჭრა. მან მერაბ კვიცარიძის პრიზი და მისი ნაწარმოების უცხო ენაზე თარგმნისა და გამოქვეყნების პირობა მიიღო.

ოქროს დიპლომის მფლობელი პოეზიაში გახდა თიანეთის მირზა გელოვანის სახელობის №1 საჯარო სკოლის მერვეკლასელი მარიამ გოჯიაშვილი, ვერცხლის დიპლომი დაიმსახურა ზუგდიდის აკაკი წერეთლის სახელობის №1 საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელმა დემეტრე გვასალიამ, ბრინჯაოს დიპლომები გადაეცათ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის მეცხრეკლასელ ზეინაბ აკვაზბას, მარტვილის მუნიციპალიტეტის სალხინოს საჯარო სკოლის მერვეკლასელ თეონა კალანდიას და უჩამბის საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელ ანრი მუთიძეს.

ოქროს დიპლომი პროზაში დაისაკუთრა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სალიბაურის №2 საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელმა რეზო შარაშიძემ, ვერცხლის დიპლომი სამ კონკურსანტს გადაეცა - ბათუმის №4 საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელ თემო ტარიელაძეს, ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლის



მეთერთმეტეკლასელ ლიზი შავიძეს და ფოთის წმ. ნიკოლოზის სახელობის საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელ სესილია ერაგიას.

ბრინჯაოს დიპლომის მფლობელები გახდნენ აბაშის მუნიციპალიტეტის საგვაზავოს საჯარო სკოლის მეშვიდეკლასელი თამაზ გვაზავა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბანოჯის საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელი ლიზი ჯავახაძე, ბათუმის №1 საჯარო სკოლის მეცხრეკლასელი თამარ ბოლქვაძე.

ორგანიზატორებმა ფინალისტის დიპლომებით რამდენიმე მონაწილე დააჯილდოვეს, ხოლო მესამე ტურში გადასულმა ყველა ნორჩმა შემოქმედმა დიპლომი მიიღო.

მომავალ თაობაზე მზრუნველის დიპლომები გადაეცათ პედაგოგებს ხათუნა სახვაძეს (აბაშა, საგვაზავოს სკოლა), ნინო კახნიაშვილსა და მაკა ტყაბლაძეს (წყალტუბო, ბანოჯის საჯარო სკოლა), მანანა ქათამაძეს (ხელვაჩაური, ფერია), ირმა თვალაძეს (ბათუმი, №3 საჯარო სკოლა).

**მერაბ კვიცარიძე, ქუთაისის საპატიო მოქალაქე, ნაზარიშვილის კლინიკის დირექტორი, ზურაბ გორგილაძის პრემიის ლაურეატი:**

- ჟიურიში პირველად მომიწვიეს, რამაც ძალიან გამახარა, კარგი პროექტია. ქალბატონი ბელა დიდ საქმეს აკეთებს, რომელიც, უპირველესად, ახალგაზრდობისთვისაა აუცილებელი. „ცისფერყანწელების" ქალაქიდან ვარ და პოეზიით ძნელია, ვინმემ გამაკვირვოს, მაგრამ ზურაბ გორგილაძე ჩემთვის ყველაფერია. დღეს ჩემი პრიზით დავაჯილდოვე ერთი კარგი გოგონა - მაგდა დავითაძე, რომელმაც შესანიშნავი ლექსი „კრწანისის ყაყაჩოები" წარმოადგინა. იგი ითარგმნება თურქულ ენაზე, რასაც დავაფინანსებ და დაიბეჭდება რეჯეფ თაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის ჟურნალში. მაგდა ჩემგან საჩუქრად მიიღებს კიდევ ერთ ჯილდოს - როცა თურქეთში ჩატარდება ფესტივალი, ის მას დაესწრება. ამასაც მე დავაფინანსებ.

**მაია ხაჯიშვილი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი:**

- ჩვენს რეგიონში იმართება არაჩვეულებრივი კონკურსი, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდა თაობის პოეზიითა და პროზით დაინტერესებას, აძლევს მათ მოტივაციას, უფრო ხმამაღლა თქვან სათქმელი. მინდა, ქალბატონ ბელას დიდი მადლობა გადავუხადო ამ კონკურსის ორგანიზებისთვის და, ამავდროულად, აღვნიშნო, რომ სამინისტრო ყოველთვის იდგება ამ პროექტის გვერდით, რადგან იგი აძლევს ახალგაზრდებს შესაძლებლობას, აღმოაჩინონ საკუთარი თავი, ჩვენ - ეს ნიჭიერი ახალგაზრდები.

**ირაკლი შამათავა, არაერთი პრემიის ლაურეატი, ჟიურის წევრი:**

- ბოლო ორი წლის განმავლობაში შედარებით კრიტიკული ვიყავი, ვამბობდი, რომ ცოტა სუსტი თაობა წამოვიდა. წელს დავინახე, რომ პროზაში ხარისხი ამაღლდა, ძალიან კარგი, მრავალპროფილური ტექსტები იყო საინტერესო შტრიხებით - ოკუპაციაზე, აფხაზეთზე, უკრაინა-რუსეთის ურთიერთობებზე, ემიგრანტებზე... ერთი ტექსტი დამამახსოვრდა და მისი ავტორი, როგორც დაჯილდოებაზე გავიგე, სესილი ერაგიაა. იგი სამოთხ კონკურსში მონაწილეობდა და ყველგან - სხვადასხვა ტექსტით. ძალიან კარგი ხელწერით გამოირჩევა. იმედი მომეცა, რომ სხვა ღირებულებების თაობა წამოვიდა. სასიხარულოა, რომ ამ კონკურსს სამინისტრო და სასახლე ასე აქტიურად უჭერს მხარს. როცა ასეთი ძლიერი უწყება მწერალთა სახლის ჩართულობით კონკურსის მხარდამჭერი ხდება, რა თქმა უნდა, მას ათწლეულების ათვლა შეუძლია. კონკურსს, ახალი სისხლის გადასხმით, სხვა მომავალი ექნება. მადლობა ყველას, ვინც ეხმარება ქალბატონ ბელას, რომელმაც მაშინ, როცა ამდენი თანამდგომი არ ჰყავდა, შიშველი ხელებით შეინარჩუნა ეს კონკურსი.

**იაშა თანდილავა, ჟიურის წევრი:**

- ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ კონკურსებს. ბავშვები გრძობენ ეპოქის პულსს, განიცდიან, წერენ მიტოვებულ სოფლებზე, დისკრიმინაციაზე, იმაზე, რაც ჩვენს სამშობლოს უჭირს. ძალიან ნიჭიერები არიან. რამდენიმე მომეწონა და მიხარია, რომ ისინი გამარჯვებულებს შორის დასახელდნენ.

**მარიამ გოჯიაშვილი (თიანეთი), გამარჯვებული:**

- ორი-სამი წელია, ლექსების წერა დავიწყე. აქ სამი ლექსი წარმოვადგინე - შემოდგომაზე, ფუფალასა და ნიკო ფიროსმანზე. არ ველოდი გამარჯვებას, ძალიან გამიხარდა. კონკურსში პირველად ვმონაწილეობდი.

**ვახტანგ ღლონტი, პოეტი:**

- ძალიან კარგი კონკურსია. ბელა ცდილობს, ახალგაზრდები გამოსტაცოს ყოველდღიურ რუტინას, გაფუჭებულ ტელეარხებს, ხანდახან არასწორ, თავსმოხვეულ იდეოლოგიას, ჩუქნის სიხარულის მახსოვრობას, აძლევს იმედს, რომ ხვალ და ზეგ კარი გაიხსნება იმათთვის, ვინც პატიოსნად იღვაწებს სამშობლოსთვის, სიტყვისთვის... აქ ადამიანური სიტყვა იგულისხმება და ამ მიმართულებით წავა. ბევრი ბედნიერი სახე ვნახე დღეს. მადლობა ყველას, ვინც არ იშურებს თავის ძალას და ენერგიას, რომ მომავალ თაობას სწორი გზა აპოვნინოს.



**თემო ტარიელაძე, ვერცხლის პრიზიორი:**

- ვერცხლის დიპლომი ავიღე და კმაყოფილი ვარ... თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს „თეთრ მაფშალიას", ქალბატონ ბელას - მიყვარს და მეიმედება არა პირადი, არამედ სამშობლოს ინტერესებისთვის. მას ყური აქვს დადებული სამშობლოს პულსზე და ცდილობს, ხელი შეგვიწყოს ჩვენ, ახალგაზრდებს, რომლებიც ამ ქვეყნის მომავალი ვართ. მომავალი წლიდან აღარ ვიქნები კლუბის წევრი, მაგრამ გპირდებით, რომ მისი მხარდამჭერი ყოველთვის ვიქნები. მადლობა ქალბატონ მაია ხაჯიშვილს თანადგომისთვის, ასევე, მწერალთა სახლის დირექტორ ლალი კონცელიძეს. დღეს ნაკლებადაა კავშირი ახალგაზრდებს შორის, ამ კონკურსზე კი გავიცანი გურული, თიანეთელი, მეგრელი, იმერელი ახალგაზრდები. ჩვენი ერთობა გააერთიანებს ჩვენს ქვეყანას. პირველი ნაბიჯი გადადგმულია.



# სამი წლის შემდეგ... მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი (?)




FIFA -ს პრეზიდენტ ჯანი ინფანტინოს განცხადებით, 2025 წელს FIFA ახალ ტურნირს ჩაატარებს, რომელსაც მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატი ერქმევა და მასში 32 კლუბი მიიღებს მონაწილეობას.

ინფანტინო იმედოვნებს, რომ ტურნირს ისეთივე დატვირთვა ექნება, როგორიც დღევანდელ მსოფლიო ჩემპიონატს, ოღონდ მასში მონაწილეობას ნაკრებების ნაცვლად კლუბები მიიღებენ.

# „ნაპოლის" წლის ბოლო მატჩები

ლუჩანო სპალეტის გუნდმა თურქული შეკრება დაასრულა და წვრთნას საკუთარ „სტადიო მარადონაზე" გააგრძელებს. „ნაპოლი" მორიგ მატჩს 17 დეკემბერს, თბილისის დროით 23:30 საათზე, ესპანურ „ვილიარეალთან" გამართავს.

მთავარი პრობლემა, რაც ახლა კარგ ფორმაში მყოფ ნეაპოლელებს აქვთ, ისაა, რომ ბოლო 5 შეხვედრიდან ოთხში კარი მშრალად ვერ შეინახეს. საქმე ისაა, რომ კოსოვოელი ცენტრალური მცველი ამირ რაჰმანი ტრავმირებული იყო და ის სწორედ ამ მატჩში უნდა დაბრუნდეს. „ნაპოლის" მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელებიც აკლია, მათ შორის, სამხრეთკორეელი კიმი, რომლითაც არაერთი კლუბი ინტერესდება.

ტრავმის შემდეგ ხვიჩა კვარაცხელია გუნდს დაუბრუნდა, თუმცა ფორმაში შესასვლელად დრო სჭირდება და, იმედია, განვლილი ორი შეხვედრა საამისოდ კარგად გამოიყენა.

მეტოქე გუნდში „ნაპოლის" 2 ექსფეხბურთელი - მეკარე პეპე რეინა და მცველი რაულ ალბიოლი (რომელმაც კვარაცხელია შეაქო) გამოდის. ამ გუნდების დაპირისპირება ყოველთვის საინტერესო და დაძაბულია, თუმც ბევრი გოლი არ გადის. თუ ნეაპოლელები იტალიის ჩემპიონატს ლიდერობენ და „მილანს" 8 ქულით უსწრებენ, მათი უახლოესი მოწინააღმდეგე იდეალურ ფორმაში სულაც არაა.

მოგეხსენებათ, წლის უკანასკნელ მატჩში ქართველი გარემარბის გუნდი ფრანგულ „ლილს" შეხვდება, ოფიციალური შეხვედრა კი 2023 წლის 4 იანვარს მილანში „ინტერის" წინააღმდეგ ექნებათ. აღსანიშნავია, რომ „ნაპოლიმ" ამ სტადიონზე უკვე გაიმარჯვა, დაძაბულ ბრძოლაში „მილანს" 2:1 მოუგო.

**მოამზადა ამირან გურიელიძემ**